1978/2

— დიდება თქვენ,
ვინც შიმშილით
გაიარეთ
გზა საძნელო.
დიდება თქვენ,
კომკავშირის
მილიონო
ძნელ აძენო!

მირზა გელოვანი



ოქტომბერი
№ 10 1978 წ.

# საქართველოს ქალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომკავშირი 60 წლისაა

# კომკავშირული ქალაქი

ქალაქის კარიბჭესთან ლენინი იდგა.

„ახალგაზრდა კომუნისტურმა თაობამ უნდა აშენოს კომუნისტური საზოგადოება". — ამოეკვეთა მხატვრის ხელს კვარცხლბეკზე ბელადის სიტყვები.

ლენინს ხელში ძალუმად ჩაებღუჯა ქუდი. სახე... სახე კი — ესოდენ ნაცნობი და მშობლიური — მშვიდი შეუპოვრობით მიემართა სივრცისაკენ.

ლენინი ამბობდა:

„თქვენს წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, თუ დაეუფლებით მთელ თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ, რომ კომუნიზმი მზამზარეული, დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევა-დარიგებებიდან, რეცეპტებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადავაქციოთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ".

მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს კომკავშირი, ისევე როგორც ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა, ამტკიცებდა დიდი ბელადის ამ მოძღვრების ერთგულებას. იგი ოფლით და სისხლით, კუნთითა და კალმით აგებდა კომუნიზმის საოცნებო შენობის ძნელ სართულებს.

ეს პატარა ქალაქიც, შავნაბადაზე რომ გაუდგამს პირველი ფესვები, ამ გრანდიოზული მშენებლობის ერთ-ერთი — ჯერაც დაუმთავრებელი, მაგრამ დიდად პერსპექტიული საფეხურია.

ქალაქის ბიოგრაფია კი დიდი ხნით ადრე დაიწყო. იმაზე უფრო ადრე, როცა მიმდინარე წლის თებერვალში ბორის ძნელაძისა და მირზა გელოვანის ძეგლებს ჩამოხსნეს საფარველი; იმაზე უფრო ადრეც, როცა 1976 წლის 21 ნოემბერს ქალაქის პირველი რიგის მშენებლობანი და ლენინის ძეგლის გახსნა იზეიმა საქართველოს ახალგაზრდობამ.

ქალაქის ბიოგრაფიამ, თუ საქმე საქმეზე მივიდა, თელეთში პირველი ბულდოზერის გამოჩენასაც დაასწრო და უშუალოდ მისი შექმნის იდეასაც.

.....აჯანყების დროს დამაპატიმრეს და ორი თვე ვიჯექი ოზურგეთის ციხეში. 1920 წლის დასაწყისში კვლავ დამაპატიმრეს და გამასახლეს ბაქოში. 10 დღის შემდეგ დავბრუნდი არალეგალურად, ვმუშაობდი თბილისში. კვლავ დამაპატიმრეს და ჩამსვეს ციხეში. ლეგალიზაციის შემდეგ განვთავისუფლდი. შემდეგ კვლავ დამაპატიმრეს და გამასახლეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ"...

ეს სიტყვები ქართული კომკავშირის ისტორიიდან არის, 1917-1921 წლებიდან.

მათი ავტორი, ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის" ხელმძღვანელი, საქართველოს კომკავშირის ფუძემდებელი, ბორის ძნელაძე ახლა თავისი სახელობის ქალაქში, სასწავლო კორპუსთან აღმართულა ბრინჯაოს ძეგლად. მოქანდაკეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს, პროფესორ მერაბ მერაბიშვილს მკაცრი, შთაგონებული სიჭაბუკის მარადიულ სიმბოლოდ შეუქმნია იგი.

„მე მყოფნის გამბედაობა საქართველოს ახალგაზრდობის სახელით განვაცხადო, უახლოეს მომავალში დღევანდელი საწყალი, კონტრრევოლუციური საქართველო აღარ იქნება და მალე შეიქმნება წითელი მუშურ-გლეხური საბჭოთა საქართველო"...

ძვირფასო წინაპარო და თანატოლო! იმ საქართველოსათვის ბრძოლაში, რომელზეც შენ ოცნებობდი, კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით ბევრი მტერი დაამარცხა თავისი არსებობის 60 წლის მანძილზე დენიკინი, მენშევიკები, უწიგნურობა, ფაშიზმი... გამარჯვების მრავალი სასახელო სტრიქონი ჩაწერა მან დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდის საბჭოთა მატიანეშიც. ეს სტრიქონები აღდგენით სამუშაოებს, ყამირს, ხუთწლედებს, მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს დაუკავშირდა. „იმ" საქართველოში დღეს 70-ზე მეტი ეროვნების შვიდასი ათასი კომკავშირელია — 304-ჯერ მეტი, ვიდრე პირველი ლეგალური ყრილობის დროს, 1920 წელს; იმ იდეების უკვდავსაყოფად ბრძოლას, რომლის სამსახურსაც ხანმოკლე სიცოცხლე უძღვენი, დღეიდან შენი სახელობის სკოლა ასწავლის რესპუბლიკის 1500 განთავისუფლებულ მუშაკს, 150 ათას აქტივისტს, 2100 პიონერხელმძღვანელს, კომკავშირული პოლიტსწავლების სისტემის 7 ათას პროპაგანდისტს.

...ბრინჯაოს ტანსაცმელში შენ ძალიან გავხარ საკუთარ თავს; ამიტომაც მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის სახელი და ვაარი რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში შეიტანეს.

ესეც-შენდამი ჩვენი ერთგულების ნიშნად.

...ისევე, როგორც ქუთაისელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების მიერ შენი მშობლიური ჩოხატაურის ბურნათისეულ სახლ-მუზეუმში დატოვებული, 1975 წლის 1 მარტით დათარიღებული ჩანაწერი: „დღეს თქვენი სახელით ჩვენ მოგვცეს კომკავშირული ბილეთები, ამხანაგო ბორის!".

...ისევე, როგორც პირველი ლენინსძიება კომკავშირულ სკოლაში, ჩატარებული ქალაქის გახსნის დღეს — „ბორის ძნელაძის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია".

ამ ქალაქის ოთხკეც პასპორტში არის პატარა ტექსტი, ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილი, რომელიც იუწყება: კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე კომკავშირული, პიონერული მუშაკებისა და აქტივისტების მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრია. აქ ყოველწლიურად ისწავლის 800 ნომენკლატურული კომკავშირული და 800 პიონერული მუშაკი, მომზადდება 60 პიონერხელმძღვანელი, ინსტრუქციულ სწავლებას გაივლის სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების 700 მდივანი, 1500 კომკავშირული აქტივისტი და სტუდენტთა სამშენებლო რაზმების 100 ორგანიზატორი.

ამ პასპორტის გარეკანზე ცისფერი მაკეტია. მასზე ციფრებით აღნიშნული 25 ობიექტიდან (მეგობრობის ხეივანი, ლენინის მოედანი, ახალგაზრდული კლუბი „წითელი მიხაკი", პავკა კორჩაგინის ქუჩა, ნადეჟდა კურჩენკოს სკვერი, გაგარინის ქუჩა, ხელოვნური ტბა „შავნაბადა", სპორტული კომპლექსი „სიჩაუქე" — ჭეშმარიტად ახალგაზრდულია ეს ქალაქი!) ჯერჯერობით ნახევარია ხორცშესხმული. სამაგიეროდ, ეს ობიექტები დღევანდელობას და მათთვის დაკისრებული მისიის მნიშვნელობას უპასუხებენ თავიანთი გარეგნობით, აღჭურვილობით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, ინფორმაციისა და თვალსაჩინო აგიტაციის უაღრესად თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა თუ საყოფაცხოვრებო ხასიათის ატრიბუტებით; სამაგიეროდ, ეს ნახევარი უკვე სრული დატვირთვით აკეთებს საპატიო საქმეს — ეპოქის მოთხოვნათა დონეზე, პერსპექტივის გათვალისწინებით აწრთობს, ცოდნით აიარაღებს საქართველოს კომკავშირის მეწინავეებს, მის ავანგარდს, ადამიანებთან მუშაობას ასწავლის მათ.

... ოქტომბრის ქუჩას აათავებ თუ არა, მწვანე თეატრს მარცხნივ მოიტოვებ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების მოედანზე ჩაუხვევ. იქ, ქვის მონოლითზე, კიდევ ერთი მარადკომკავშირელი დგას და ფიქრიანი თვალები ლურჯ ცაზე არეკლილი იდუმალი პოეტური სახისაკენ მიუქცევია.

მირზა გელოვანის ძეგლის ავტორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია ამბობდა, მონუმენტის შექმნაში პოეტის ლექსები და ფრონტული წერილები მშველიდნენო.

ამიტომაც ამოკაწრულა ბავშვური ნახატები — უწმინდესი სულის სიმბოლო — ქვაზე, ამიტომაც შერწყმია ამ ლამაზი ქალაქის შინაარსს მისი ქმნილება.

„სალამი თქვენ, კომკავშირის
მილიონო ძნელაძენო!“

ბურნათში, ბორის ძნელაძის ოთახში კედელზე ლენინის სურათი ჰკიდია, როგორც ნიშანი რევოლუციის დიდი ბელადის მოძღვრების ერთგულებისა. მირზა გელოვანის პოემაში, რომელსაც „შავნაბადა“ ჰქვია, ბორის ძნელაძის სახელია უკვდავყოფილი.

შავნაბადაზე, კომკავშირულ ქალაქში დღეს სამი მონუმენტი დგას, როგორც ამ ურთიერთშეხების დიდი კანონზომიერება...

„ჩვენ გვინდა მადლობის სიტყვებით მივმართოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან მუშაობის ისეთი კერებისათვის, როგორიც








ბორის ძნელაძის ძეგლი
კომკავშირულ ქალაქში
მოქანდაკე მ. მერაბიშვილი

არის კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმი, შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი ახალგაზრდული თეატრ-სტუდიითა და შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კლუბით, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, ჩვენი დედაქალაქის ახალგაზრდული კლუბი, რესპუბლიკის ახალგაზრდობის ინტერესებიდან გამომდინარე კიდევ მრავალი კეთილი და კარგი საქმისათვის და აღვუთქვამთ მათ, რომ კომკავშირული, აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ეს კერა მაქსიმალური ეფექტიანობით იქნება გამოყენებული“, — ითქვა საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობაზე.

ამ ყრილობაზე გამოკვეთილად დაისვა საკითხი კომკავშირული მუშაკებისა და აქტივისტების სწავლების სისტემის შემდგომი სრულყოფისა და ამ საქმეში რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის, კომკავშირული ქალაქის მნიშვნელობის შესახებ.

...გარდაბნისაკენ მიმავალი, თბილისს გასცდები თუ არა, გზა იტოტება და ზევით, შავნაბადას მთისკენ უხვევს. ნუ გაგაკვირვებთ წარწერა ორიგინალური კონსტრუქციის სტენდზე — მწვერვალზე მართლაც ცხოვრობს „კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე“, რომელიც მოწოდებულია გვასწავლოს, როგორ აღვზარდოთ კომუნისტები.

ცირა კუპატაძე



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირი 60 წლისაა

# ჩვენ კომკავშირელები ვართ



ვიოლეტა იაშვილი

ფაბრიკას „კომსომოლკა" ჰქვია.

ეს სახელი ახალგაზრდებმა შეარქვეს.

იგი 1935 წელს დაიბადა.

და მას შემდეგ მისი ძირითადი ბირთვი ახალგაზრდობაა, რომელიც საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმს რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში, სხვა რესპუბლიკებში აგზავნის.

სამკერვალო ფაბრიკები აქედან იღებენ ქართული აბრეშუმის ძაფს. ბევრი რამ, რაც ადამიანებს სჭირდებათ, აქაა დამზადებული — ფეხსაცმლის ზონრები, საოჯახო თოკი, მაგიდის, ბალიშის, ლოგინის გადასაფარებლები, ფანჯრების ფარდები, გასაწყობი ლენტები, ფოჩები.

კომკავშირის იუბილე „კომსომოლკას" იუბილეცაა. 60 წლის კომკავშირი ბევრს ავალებს თავის სახელობის საწარმოს. იუბილემდე ერთი წლით ადრე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საამქროებსა და უბნებს შორის. ერთმანეთს ეჯიბრებიან ლენტსაქსოვ-საწნავი, საქარგავი, საჩითავი, სატრიკოტაჟო — საქსოვი უბნები. წლების განმავლობაში პირველობას არ თმობდა საქარგავი უბანი. მაგრამ წელს, პირველ კვარტალში მას ლენტსაქსოვ-საწნავმა უბანმა გაასწრო. მეორე კვარტალშიც ხელიდან არ გაუშვიათ ამ უბნის წევრებს სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულის დროშა.



მქსოველთა ბრიგადა

ფაბრიკაში სამი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა. ამ ბრიგადებს ვიოლეტა იაშვილი, მანანა ცინცაძე და ქეთევან ლეჟავა ხელმძღვანელობენ, შეწყობილად, მეგობრულად შრომობენ. მათ თანამოსაქმე გოგონებს — ქართველებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, სომხებს, რუსებს, ქურთებს, ბერძნებს ფაბრიკაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება უმაღლესში სწავლას უადვილებს.

„კომსომოლკას" და მის 112 კომკავშირელს კარგად იცნობენ ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, ბელორუსიაში. „საშიშ მეტოქედაც" თვლიან და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ. ქართველებმა ბევრჯერ აჯობეს მათ და პირველი-მეორე ადგილი დაისაკუთრეს.

შეიძლება წელსაც ასე იყოს...



დურხანუმ კახმანოვა, ანა ელოევა და ინგული გვრიტიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინგული გვრიტიშვილი



ციცინო გრძელიძე

ალიო მირცხულავა

## ლენინური კომკავშირი

კომკავშირი! შევარდენთა სანავარდო,
განთიადი, მოლაულაუე ვარდისფერად,
მზის ბაღნარი სამაისო და სავარდო,
სიხარული, სიყვარული და სიმღერა!

კომკავშირი! მარად მხნე და ახალგაზრდა,
ბრძოლით განვლეთ გზა მიზნისკენ დასახული,
კიდევ უფრო გასხივოსნდა, გალამაზდა,
გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის გაზაფხული!

აგებს ქარხნებს, ღუმელებში აწრთობს ფოლადს,
დასტრიალებს ახალ სახლებს თუ ხარაჩოს,
ცაში დაქრის, უხარია მზისკენ სრბოლაც,
საზღვარზე დგას, რომ მშვიდობას უდარაჯოს!

ებრძვის გვალვას და უდაბნოც მისგან იხსნა,
გასტეხს ყამირს, — ოქროს ბაღნარს დაადარებს,
და ორდენებს, ბრძოლისა და შრომის ნიშნად,
ამაყ მკერდზე ვარსკვლავებად დაატარებს!

საყვარელო! ლექსს მოგიძღვნი გრძნობით ნაქსოვს,
ყველა შენი გამარჯვება გამიხარდეს,
მოდგმიდანვე შენი ტკბილი ზრუნვა მახსოვს,
სიყრმის კერა, არ იქნება, არ მიყვარდეს!

იცოცხლე და იხალისე! ხარ დღეგრძელი,
მხნედ იარე! კომუნიზმის გზა ეს არის,
იზეიმე დაბადების დღე და წელი,
მრავალ ასეთ დღესასწაულს დაესწარი!

ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს



ეროვნული ბიბლიოთეკა

512 ათასი ტონა ყურძნისათვის

# ზვრებში

ჩანახატი

— ჰაი, ნინა! — მესმის ბრიგადირ თურმანას ძახილი, — თოხი არ დაგავიწყდეს, დღეს „შეფენილში“ მივდივართ, ახალშენის სათოხნად.

— რა უნდა დამავიწყდეს, ქა! — ბუზღუნებს ნინა ძალო. ის უკვე ალიონიდან ემზადება ვენახში წასასვლელად; ეს მზადება სახლისა დაეზო-ყურეს მოვლაა, წვრილფეხისა და პირუტყვის დაპურებაა, დღიური საგზლის გამზადებაა... მერე თავსაფარს მოიხვევს, თოხს აიღებს და ქუჩაში გამოდის.

ერთმანეთის ძახილით, სიცილითა და ხუმრობით მოდიან ფოხალოსუბნელი ქალები, მზეში დამწვარნი, ნაჯაფარნი, გულმართალნი და შრომისმოყვარენი.

— ჩქარა, ანიკო, ჩქარა! — უხმობენ სირბილით მომავალ კაფანდარა ქალს, თან ნაკანტორალთან მდგარი მანქანისაკენ იხედებიან, უჩვენოდ არ წავიდესო.

— სადა ხარ, ქალო, აქამდე? — წყრომანარევი ხმით ეკითხებიან აქოშინებულს.

— ცოტა ადრე მოვზილე, მაგრამ გაფუება დაუგვიანდა; მანამ შოთებს დავაკრავდი და ამოვყრიდი, უკვე დროც მოვიდა, ბალღებს სადილიც ვერ მოვუსწარი, — ამბობს ანიკო და ყველანი მანქანისაკენ იჩქარიან.

რვის ნახევარია; ქალები „ვაკეში“ მიემგზავრებიან. აქ გაშლილ მინდორზე მწვანედ ჩატბორილა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს მევენახეობის № 2 ბრიგადის მსხმოიარე ზვრები.

წლიდან წლამდე ამ ვაზებს ელოლიავებიან ქალები, და ეტყობათ კიდეც ტანდაკორძილ მადლიანებს მათი ხელი, — ყოველწლიურად უხვ მოსავალს იწევს თურმანა ხმალაძის ბრიგადა. ორი წლის წინათ ვენახების ნაწილი გაპიროვნების მეთოდით დაამუშავეს, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.

ქეთო შაიშმელაშვილს რომ შეხედოთ, სული რაში უდგასო, იფიქრებთ. ამ სუსტმა ქალმა ისე მოუარა ვენახს, რომ შარშან სარეკორდო მოსავალი მიიღო. გაპიროვნებული ორი ჰექტარიდან საგეგმო 15 ტონის ნაცვლად 38 ტონა ყურძენი მოკრიფა. ზინა ბარნაბიშვილმა 26 ტონა ყურძენი მიუწონა სამშობლოს ორი ჰექტარი ვენახიდან. არც სხვებს დაუკლიათ ხელი, ქალების მარჯვენის ბარაქა იყო. რომ თურმანა ხმალაძის ბრიგადამ შარშან რაიონში ყურძნის ყველაზე დიდი მოსავალი მოიწია.

...გვიან შემოდგომაზევე იწყებენ ზვარში ფუსფუსს ქალები. სხლავენ, სასუქი შეაქვთ, სარ-მავთულს არემონტებენ, თოხნიან, ფურჩქნიან და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ რამეს აკეთებენ მათი დაუღლელი ხელები.

წლეულსაც კარგად დაიყარა ვაზმა მტევანი. ხარობდა მეზვრე, შარშანდელზე უფრო მეტი ბარაქა ექნებაო ვენახს. მაისის ერთ კვირა დღეს ავად შეიგრაგნენ ცაზე კუპრისფერი ღრუბლები. ერთმანეთს მისდევდნენ ბოლოცეცხლიანი სეტყვისსაწინააღმდეგო რაკეტები. ვერაფერმა შეუშალა ხელი გაავებულ სტიქიას — ლუკმა პირში გაუშეშდა სადილად მჯდარ ზინა ბარნაბიშვილს, როცა მოახლოებული ავი ხრიალი შემოესმა — სეტყვა მოდიოდა მაღაროში; ცივყინულა მარცვლები მძიმედ დაასკდა მტვრიან მიწას, თეთრად გადაპენტა მიდამო; გამტკნარებული შეჰყურებდა ცას ქალი, და როგორც კი გადაიკარა, ქუჩაში გამოვარდა.

— სად მიხვალ, ქალო, შეშრობას არ დაასცდი?! — დაეწია მეუღლის ხმა, მას კი არაფერი ესმოდა, ვენახი ეძახდა, ვაზი უხმობდა დედობილს.

მალე ქალები გათოშილი გზით ვენახისაკენ მიაბიჯებდნენ. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს გვერდი აევლო სეტყვას ვაკის ზვრებისათვის. იმედი ჩაესახათ თვალებში. რამდენჯერ მომხდარა წყეულ სეტყვას შუაზე გაუყვია ხახვის კვალი, ნაწილი მოუსპია, ნაწილს არც შეხებია, იქნებ?!

მაგრამ როცა ვენახში შევიდნენ, გულში მოწოლილი დარდი ცრემლად დააღვარეს სეტყვისაგან მოწყვეტილ გრძელ-გრძელ მტევნებს.

— ჩვენსას კიდევ რა უშავს, ქალებო, აი არაშენდელებმა რაღა ქნან, ღეროებილა დაუტოვებია სეტყვას, გეგონება, ვაზს ფოთოლი საერთოდ არ გამოუღიაო, — ამშვიდებდა მიშა მახარაშვილი ქალებს.

მერე ქალურმა სინაზემ, ალერსმა და რუდუნებამ თავისი ნაყოფი გამოიღო, ვაზს მოუშუშდა ნასეტყვარი

იარები და ისევ ლაღად აშრიალა ყლორტები.

121 ჰექტარი ვენახი აქვს თ. ხმალაძის ბრიგადას ვაკესა და შეფენილში. აქედან 70 ჰექტარი მსხმოიარე ზვარია, 51 — ახალშენი. ახალშენის ფართობის 30 ჰექტარით გაზრდას ამ შემოდგომაზე აპირებენ, შარშან ჰექტარზე საშუალოდ 76-ის ნაცვლად 140 ცენტნერი ყურძენი მიიღეს ქალებმა, წლეულს უკეთესი მოსავალი იქნებაო, იმედიანად აცხადებდნენ. წამლად რომ გინდოდეთ, ბალახს ვერ ნახავთ ქალების მოვლილ ზვრებში. კეთილ საქმეს აკეთებენ მზე და ქარდაკრული ხელები.

— დავისვენოთ, ქალებო! — დაიძახებს შუადღისას უხნესი მევენახე და ყველა ნაკვეთთან ახლოს მდგარ ვერხვის ჩრდილს შეეფარება. ჩანთებს გახსნიან, საგზალს ამოალაგებენ, საერთო სუფრას გაშლიან. მერე ხელადას ნაქურჩალს მოაძრობენ და კამკამა ღვინო „სათითურით“ ჩამოივლის ნახაფარ ჩელებს.

და ლაპარაკობდნენ ქალები ამ მთისას და იმ მთისას, სახლისას და მეზობლისას, შვილისას და მეგობრისას. მსჯელობენ, შარშანდელზე მეტ მოსავალს თუ მივიღებთო. შარშან კი თითოეულის წლიურმა შემოსავალმა 2 ათას 3 ათას მანეთს მიაღწია, ესეც არის, მარტო ვენახში მუშაობას არ სჯერდებიან ქალები, სიმინდსაც თოხნიან, ნივრისა და კიტრის ნათესებსაც უვლიან, ალოობის დროს კალოზეც მუშაობენ.

ნაშუადღევს ისევ წამოიშლებიან ვერხვის ჩრდილიდან, და მუშაობას განაგრძობენ. მხოლოდ გვიან, როცა მნათობი უკანასკნელ სხივებს აიკრეფს და მთებს ჩაეფარება, ქალები მანქანას სოფელში მოჰყავს. ძველ ნაკანტორალთან დაიშლებიან, მიდიან შინისაკენ მძიმე, დაღლილი ნაბიჯებით, სალამს აძლევენ სალამოს გარეთ გამოფენილ მეზობლებს, სალაპარაკოდ კი ვერ ჩერდებიან — ოჯახი ეძახით, ქმარ-შვილი და უამრავი საქმე მოელით, წვრილფეხია მისახედი, სახლია მისალაგებელი, სარეცხია დასარეცხი. და საქმეში ივიწყებენ დაღლას.

ასეთები არიან ფოხალოსუბნელი ქალები სოფელ მალაროდან: ზინა ბარნაბიშვილი, ნეუნა და მაყვალა ბაინდურაშვილები, ქეთო შაიშმელაშვილი, ანიკო ბაინდურაშვილი, ნინა ბარნაბიშვილი, ანია მახარაშვილი, თამარ უსენაშვილი და სხვები.

მათნაირი დედაკაცების ზურგზე გადაუვლია მუდამ სოფლის ჭირსა და ლხინს.

**ბიული ბარნაბიშვილი**



## სანდრო შანშიაშვილი 90 წლისა





# ლეჩხუმის გზებზე

ნარკვევი

მზის სხივებში გახვეულ რუსთაველის გამზირზე მზევინარს მოვკარი თვალი. იმანაც მოიხედა.

— მზევინარ!

იქვე ქაშუეთთან ჩავუხვიეთ, ჩრდილში მერხზე ჩამოვსხედით და გულითადი მოკითხვის მერე შარშანდელი დღეები გავიხსენეთ. ბევრი რამ გვქონდა გასახსენებელი — ლეჩხუმის გზებზე მზევინარი იყო ჩემი მეგზური.

მზევინარი გურული ქალია, გვარად ძნელაძე. ცაგერს გათხოვილი და იქ დაქმარშვილებული. ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში სოფლის მეურნეობის განყოფილებას განაგებს და ამიტომაც მთელ იმ კუთხეს შესანიშნავად იცნობს.

გახსოვს, მზევინარ, ის ლამაზი დღე? ცაგერის მთავარ ქუჩაზე, რომელზეც ქუთაისიდან ლენტეხისაკენ მიმავალი გზაც გადის, მოდიოდი დაფიქრებული და მოხდენილი. დაგვინახე და ქუჩა გადმოსჭერი.., ასე გაგვაცნეს ერთმანეთი. შენ მაშინვე უყოყმანოდ გადაწყვიტე, თან გამომყოლოდი და იმ კუთხის გაცნობაში დამხმარებოდი, თუმცა შინ ქმარ-შვილი გელოდებოდა და რედაქციაშიც — ათასი საქმე, რაც უთუოდ შენი ხელით უნდა გაკეთებულიყო.

ნელი ნაბიჯით აღმა ავყევით იმ ქუჩას, რომელმაც მალე მურის ხიდთან მიგვიყვანა. ჩვენს წინ ლურჯად და ცეცხლისფრად ბრწყინავდა შეგუბებული ცხენისწყალი — ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობააო, მიხხსნიდი გულმოდგინედ — იმ მთაში კი გვირაბია გაჭრილი, რითაც ცხენისწყალი ლაჯანურს უერთდებაო.

თავს დაგვდგომოდა ორბელის გადასასვლელი და გოლაიას მთა საქვეყნოდ განთქმული სამი ციხით: „დახვდი", „დაჰკარ" და „არ გაუშვა". შენ ყველაფერი გიყვარდა, ძველიც და ახალიც ნაპერწკლიანი, მღელვარე სიყვარულით.

დაუვიწყარია, მეგობარო, ის ნაშუადღევი, ჩრდილდაფენილი მურის ხიდი და ზედ მომდგარი, სივიწროვით თითქმის ჩაბნელებული ხევები, რომელთა თხემები მზეში იწვოდა. ჩვენს წინ, მთების მწვანე წრეში ჩახატულიყო ცაგერი და შენც ის ფერი მოგშუქებოდა, სიწმინდისა და სიცოცხლის ფერი. მურის ხიდის მაგიერ ახალი ხიდი გაიდებაო ერთ დროს, — მითხარი შენ, იმის მსგავსი, ლადოს სიცოცხლეში რომ იყოო.

როგორ დაშვენდა ლადოს გახსენება იმ არემარეს, როგორ შემოგვენთო გულზე ცეცხლი, როცა რამდენიმე სტრიქონი ხმამაღლა წარმოვთქვით. ყოველივე ამან მურის ხიდიდან ბარდნალასაკენ გვაქნევინა პირი. დაღმა გავეკიდეთ ცხენისწყალს. ჭალისთავს ბორცვებს შორის ნამკაშურის წყალი და ლადოს ბებერი წისქვილები დავლანდეთ.

რამ დამავიწყოს დიდი გზის პირას, მალაზიების უკან, აღმართზე ამავალი ორღობე. მწვანე ეზოსთან რომ მიგვიყვანა! მარტოობის ნაღველი ჩაგუბებულიყო შიგ, რომელიც თითქოს ღობით იყო შემორაგვული და ჭიშკარით ჩაკეტილი.

რა კარგი ქალი გამაცანი იქ, მზევინარ, სახლ-მუზეუმის დირექტორი კი არა, გულწრფელი ჭირისუფალი მისი, ლადოს ნათესავი, ასათიანების რძალი ლამარა ჭაბუკიანი. მას შემდეგ ყოველთვის, როცა ლადოზე ვფიქრობ, თვალწინ ის ეზო-კარი მიდგას და იმ ქალის კეთილშობილური სევდა, სამკაულივით რომ შემშვენებია უმასპინძლოდ დარჩენილ ოდას; მესმის მისი ნაღვლიანი ხმის კილო და ვხედავ მის ცრემლიან თვალებს. იქ ყველაფერი ისევ ისეა? არა?

და მაინც რა კარგი დღე იყო, მზევინარ, ის დღე! ერთხანს „ვარდებიან ბარდნარს" ვეძებდით, მერე ნაბორნალიც მიმანიშნებინე, მერე კიდევ ქვევით წამიყვანე და „სარეწკელას ბილიკი" დამანახვე. გზის გაფართოების გამო ამ ქვეყანას რომ მოსწყვეტოდა და კლდეზე გარჩენილიყო საბრალოდ.

აქ კი დაბეჯითებით მირჩიე, ბარემ, რაკი ამ გზაზე მოვხვდით, ცოტა ქვემოდაც ჩავიდეთ. უსახელოურის მეურნეობა ვნახოთ. და მეც წამოგყევი. გზადაგზა შენგან შევიტყვე. უსახელოური ვაზს რომ რქმევია, ძალზე მიზეზიანი ყოფილა, სუსტლერწიანი, ნაზი, საფერებელი, მეწლე, მეშვიდე წლამდე არ ისხამს თურმე, ამიტომ გაშენების პირას მისულა. მაგრამ უჩვეულოდ კეთილი შავი ღვინო კი სცოდნია, ყურძნის წვენში მესამედი შაქარი ყოფილა... მეურნეობა ამ ვაზის აღსადგენად დაარსებულა.

ოყურეშში, ალვებით მოჩრდილულ ეზოში, დირექტორი კონსტანტინე ლურჯუმალიძე გამოგვეგება. შემდეგ მან შემოგვატარა მეურნეობის ზვრები და დაგვარწმუნა, ამ ათ-თხუთმეტ წელიწადში 15 ათასი ძირიდან უსახელოურის ვაზი ისე გაძლიერდება, მთელ ფართობებს დაიჭერსო. უხაროდა დირექტორს, რომ იმ წელიწადს საკუთარი სანერგე დაეარსებინა და პირველივე ნამყენი ნერგებით შემოდგომაზე ექვს ჰექტარს გააშენებდა. შენ მაშინ ცხენისწყალს გაღმა გამახედე: აი იქ, ცხრაკურაში, ამ გაზაფხულზე 50 ჰექტარი ყამირი გაწმინდეს და გადახნეს, მოწინავე ქალებზე უნდა დამეწერა, ამიტომ ჩამოვედი და ამ ამბავს შევესწარიო.

რაკი სიტყვამ მოიტანა, მასპინძელმაც არ დაახანა და ის მუყაითი ქალები გაიხსენა. სათითაოდ გვიქებდა ნორა უგრეხელიძეს, მარიამ ყურაშვილს, დალი მუშკუდიანს, ლილი ჩაკვეტაძეს...

— რა ამბავია იქ ახლა? ვეკითხები მზევინარს.

— შარშან ხომ ექვს ჰექტარზე გააშენეს უსახელოური, წელს რვა ჰექტარი ახალშენი შეემატებათ. ის ქალები კიდევ უფრო თავდადებით შრომობენ და უამინდობა ვერას აკლებთ. — მიპასუხა სიცილით. — კიდევ ვისი ამბავი მოგნატრებია?

გონებაში თვალი გავადევნე ჩვენს გზას. უკან დაბრუნებულები ბარდნალას რომ გავუსწორდით, მზევინარმა ცხენისწყალს გაღმა ჭალებზე მიმაქცევინა ყურადღება. მაგ ჭალებში უწინ ახვლედიანის ბაღები ყოფილა. იმ ბაღებში მოუწვევიათ აჯანყებულ ლეჩხუმელ გლეხებს ყრილობა, იქიდან გაულაშქრებიათ ცაგერზე და საბჭოთა ხელისუფლება გამოუცხადებიათ. იქვე, ცოტა ზემოთ, სოფელი ლასურიაშიაო.

შარშან ოქტომბრის საიუბილეო წელი იყო. ლეჩხუმის აჯანყებაც ხომ იმ რევოლუციის ექოდ გაისმა. ღირდა ამიტომ მის ნაგზაურზე მევლო და მენახა, როგორ ასრულდა იმ თაობის ოცნება.

ასე მოვხვდით მეორე დღეს ცხენისწყლის ხეობიდან რიონის ხეობაში, სადაც, როგორც ცნობილია, აჯანყებულებმა დიდი ბრძოლები გადაიხადეს მენშევიკური გვარდიების წინააღმდეგ.

პირველი სექტემბერი იდგა. კოკისპირულად წვიმდა. ყმაწვილები სკოლის დერეფანში შეყუჟულიყვნენ და მზისა გოდოლაძეს უსმენდნენ — თავიანთ უფროს პიონერხელმძღვანელს. ასე გავიცანი იგი ტვიშის პატარა სკოლაში, სადაც ერთი მოსწავლეც კი არ ერია ისეთი, განმეორებით რომ უნდა დამჯდარიყო იმავე კლასში.

ზეიმი რომ დამთავრდა და სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, პიონერთა ოთახი დამათვალიერებინა მზისამ, ეამაყებოდა ბავშვების ნამუშევრები, გატაცებით ლაპარაკობდა ყველაფერზე, რის გაკეთებასაც აპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირებდა. იგი გამხდარი, ნაზი ქალიშვილია და შესახედავად უფროსკლასელთაგან თითქმის არ გამოირჩევა. მიკვირდა, რომ მას, ასე ახალგაზრდას ბევრის შეტყობა და გარკვევა მოესწრო და უკვე დახელოვნებულიყო. ლეჩხუმის აჯანყების მონაწილე ბაბუა ჰყავდა და მისი ნაამბობიდან კარგად დახსომებოდა აჯანყების მსვლელობა. ოცნებობდა, ამ აჯანყების მე-60 წლისთავი აღენიშნა, ხვამლის მთა და გორმაღალი დაელაშქრა და მონაწილეთა მოგონებები შეეკრიბა თავისი პიონერების საშუალებით.

— რა ამბავია, მზევინარ, მზისასთან? წელს ხომ მესამოცე წლისთავია აჯანყებისა?

— მოგონებები შეგროვებული აქვს, ლაშქრობას კი უთუოდ მოაწყობს. ხვამლის მთას და გორმაღალს ერთ დღეში ვერ მოივლი, და ისიც ემზადება.

— მართლაც, ხვამლი და გორმაღალი შორსაა — დავეთანხმე მზევინარს და ისევ ის დღე დამიდგა თვალწინ. მზისამ მოგვატარა რიონის ხეობა მაშინ და თან ბაბუას ნაამბობს იხსენებდა. ტვიშის კლდეებთან, გზის პირას, ოდნავ შემაღლებულზე ობელისკის წარწერამ გვამცნო, რომ აქ 1918 წლის ივლისის დამლევს ლეჩხუმელ გლეხებს სისხლისმღვრელი ბრძოლები გადაუხდიათ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

მექვენაში ჩაგვიყვანა მზისამ ხვამლისა და გორმაღალის სანახავად. წვიმას გადაეღო და ცა ნელა იღებებოდა. ხვამლი ნისლში გახვეულიყო, გორმაღალი კი წინ წამოწეულიყო და ღრუბლიდან გამოსვლას ცდილობდა. ამ მთებში ყოფილა გამაგრებული მენშევიკების ჯარი. პირდაპირ, გაღმა, დერჩი შეფენილიყო. რიონს ზევით და ზევით მივყვებოდით. მზისა მოგვითვლიდა სოფლების სახელებს — დღნორისაო, ჩორთისაო, ჭაშლეთიო, ონჭეშიო... დამსჯელი რაზმები აჯანყებულებზე ამ გზით მოდიოდნენ. შვიდ თვეს გაუძლიათ ლეჩხუმელებს.

მზისა ალპანაში დაგვემშვიდობა, სამკერვალო საწარმოს ჭიშკრებთან.

— მზევინარ, რა მოულოდნელი იყო ჩემთვის იმ მთებში საწარმოს ნახვა და დიდ საამქროებში 200 ახალგაზრდა ქალის თავდახრილი შრომა მანქანებთან! როგორც გვითხრეს, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, კარგადაც კერავენ, ამას გარდა, შინ, თავ-თავიანთ სოფლებში ნაკვეთები აქვთ გაპიროვნებული და ერთი კოლმეურნეობის საქმეს იქაც ართმევენ თავს.

გაუჭირდათ მაშინ მოწინავეთა დასახელება, არც ერთი არა გვყავს ჩამორჩენილი, ყველა მონდომებით ირჯებაო. პატარა სევდაც ახლავს ყოველივე ამის გახსენებას, მზევინარ, ალბათ, იმიტომ, რომ ის დღე უკვე წარსულია, დაუბრუნებელი.

ალპანა რაჭა-ლეჩხუმის გზათა გასაყარია. ჩვენ ორპირის კლდეებს და ლაჯანურს გავყევით. სწორედ იმ გზით მივდიოდით ცაგერისაკენ, რომლითაც დამარცხებული აჯანყებულები. ჯვარდამწვარას ულელტეხილიც ჩანდა იქიდან — აჯანყებულთა უკანასკნელი თავშესაფარი. გავუარეთ ლაცორიას, სადაც გვირაბი ცხენისწყალს ლაჯანურში გადმოისვრის, ლაჯანაში ხიდი გადავჭერით და ორბელს ვეახელით, ციხით დამშვენებულს და ოჯალეშით განთქმულს.

თინა ლარცულიანი მაგონდება, კოლმეურნეობის მოანგარიშე. სხვა დროსაც მომგონებია და დავფიქრებულვარ, რა თვისება ჰქონდა მის სულს ისეთი, რომ მაშინვე მიგვინდო და იმ ერთადერთი საღამოს გახსენება ახლაც სიხარულით მავსებს? იქნებ ამის მიზეზი ის წინასწარი მზა სიყვარული იყოს, რომლითაც თინა ადამიანებს ეგებება და რომელიც ამ უკანასკნელთა დამსახურებაზე სულაც არ არის დამოკიდებული? იქნებ ამნაირად მჟღავნდება საერთოდ ქვეყნის და სიცოცხლის სიყვარული? მას თეთრ ხელებში თავს იყრის ციფრებით გამოსახული ცხოვრება სოფლისა, წლიდან წლამდე მატულობს ეს ციფრები, იზრდება, ღონიერდება სოფელთან ერთად, და ხარობს მოანგარიშე. ზოგჯერ ცა გაწყრება: მაშინ წინა ზამთრის დიდთოვლობას იხსენებდნენ, მაღალ სარებზე გასული ოჯალეში რომ მთლიანად დაელეწა და მოსავალიც მესამედზე დაეყვანა. მაგრამ შარშან კარგ შემოდგომას ელოდნენ ორბელელნი. ახლა, ალბათ, კიდევ უკეთ ექნებათ საქმე.

— ძალზე დიდი უამინდობა იყო წელს, — მეუბნება მზევინარი, — ამის მიუხედავად ორბელელები ამ შემოდგომაზეც გადააჭარბებენ გეგმას. 40 ჰექტარია ორბელური ოჯალეში, ორმოცი ცენტნერია ჰექტარზე გეგმა, მაგრამ მათ სწამთ, რომ 55-ს მიიღებენ. გახსოვს, ანა გოლეთიანს რომ გიქებდნენ ის ქალი 2.000 კვადრატულ მეტრ ვენახს უვლის, ამჟამად 3.500-ს სიმინდის ყანას (ამაზე ჩვენც დავწერეთ), ისე შესანიშნავად აქვს მოვლილი ნაკვეთები, რომ ჰექტარზე გამოანგარიშებით 80 ცენტნერ ყურძენს მიიღებს და 22 ცენტნერ სიმინდს...

დიდხანს ვსაუბრობდით მე და მზევინარი. და თუმცა ჩვენი საუბარი ნაწყვეტებისაგან შედგებოდა, ყველაფერი, რასაც იგი შეეხებოდა, ერთი მთლიანი და განუყოფელი ცხოვრება იყო ლეჩხუმისა, მისი დღევანდელი დღე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციისა და იმ აჯანყების მონაპოვარზეა დაშენებული.

ეჰ, მზევინარო! მე ყოველთვის სევდას მგვრის შეხვედრები, რომელთაც, ვინ იცის, რამდენი ხნის განშორება უნდა მოჰყვეს. შენ მალე ჩახვალ ცაგერს, სადაც შენი ლამაზი ქმარ-შვილი გელოდება, სადაც შენი რედაქციაა და ათასი გადაუდებელი საქმე, ივლი ლეჩხუმის სოფლებში, დაეხმარები ადამიანებს, ილვაწებ მთელი პატიოსნებით და გულის ცეცხლით, მე კი ჩემს მოგონებებში შენს კეთილ სახეს ირგვლივ ლეჩხუმის წარმტაც მთებს შემოვუშენებ.

ეთერ სახვაძე

გიორგი სამხარაძე

## გელათის გზაზე

ჰუგო ჰუპერტს —
„ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ
ენაზე მთარგმნელს.

მის შემდეგ ბევრი ბალახი გახმა,
როცა ტაძრისკენ მოვიჩქაროდით.
ჩვენ ავედევნეთ ოცნების აღმართს,
შუბლს ვიგრილებდით ცივი წყაროთი.

მტრედების ფრთებით დაქროდა ზენა,
მუხლებში ვგრძნობდი ყმაწვილურ ძალას.
და შაბიამნით დაწინწკლულ ვენახს
წამი-წამისად უძღვნიდი სალამს.

შორით გხიბლავდა ის სილამაზე,
გხიბლავდა ბრძენი წინაპრის ფესვი.
ჩვენ მოვდიოდით გელათის გზაზე
და ხელს გვიქნევდა პაწია მწყემსი.

ფეხდაფეხ ვსდევდით თვით ზეცის კიდეს,
ყავისფერ ჩანთით მოგზაურს ჰგავდი.
მერე აღმართი მოვთოკეთ კიდეც
და წინ შემოგვხვდა დავითის ლანდი.

მერცხლები ფანჯრებს შემოეხიზნენ,
ტყვედქმნილი ჰყავდი უცნაურ ფერებს.
ქართული სუფრა გავშალეთ სკივრზე,
რომელზეც პური ეჭამათ ბერებს.

უცებ ნისლების დაეშვა ფარდა,
წვრილი წვეთები გვცემდა უთვლელი.
აქ იგრძენი და აქ შეგიყვარდა
საქართველო და შოთა რუსთველი.

ჩუმად მოვიდა საღამო ლხინში,
სადღაც აკვნესდა ტკბილი ურმული.
თავქვე დავეშვით და ქუთაისში
ძმური საუბრით ვიჯერეთ გული.

მწვანე მინდვრები ცვარგადაყრილი
ხალიჩას ჰგავდა სათუთად ნაქსოვს.
გელათის ღამე და პურმარილი,
ძვირფასო ჰუგო, უთუოდ გახსოვს.

როცა ჩამოხვალ, გზას ვნახავთ ზიარს,
აღმართს შვლებივით ავედევნებით.
ვნახოთ გეგუთი, ვნახოთ ვარძია,
დიმში დავკრიფოთ ქარვის მტევნები.

კაშკაშა მთვარის ბუსუსა თმები
მხრებზე საამოდ დაგვეისრება...
ვნახოთ ფერსათი... ჩვენი ფიქრები
მთებს დავაფრქვიოთ ლამაზ ნისლებად!



# აქ მუშაობენ პრობლემებზე

მეოცე საუკუნის სასწაულები ტექნიკის განვითარების საქმეში, როგორიცაა კოსმოსური, წყალქვეშა, საჰაერო, აგრეთვე არქტიკული თუ საპლანეტათაშორისო ექსპედიციები, სულ სხვა მენიუს ადგენს ადამიანის კვებისათვის.

ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას მეცნიერთა წინაშე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელიც 1961 წელს დაარსდა. ინსტიტუტში წარმატებით წყდება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების ამოცანები.

მეცნიერული კვლევა-ძიებით მოპოვებულმა წარმატებებმა ინსტიტუტს შორს გაუთქვა სახელი. იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო კვლევითი დაწესებულებაა ჩვენს ქვეყანაში. ინსტიტუტში ცამეტი განყოფილებაა. საქმეში ჩახედული, მცოდნე მეცნიერები გულმოდგინედ ეძებენ ახალ მეთოდებს კვების მრეწველობის განვითარებისათვის.

და ჩვენც ვეწვიეთ ინსტიტუტის ქათქათა ლაბორატორიებს, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

საკვებ-მცენარეული ნედლეულის კვების განყოფილება, რომელსაც პროფესორი ანდრო ნიჟარაძე ხელმძღვანელობს, ხილ-ბოსტნეულის შენახვისა და ნატურალური წვენებისა და ღვინო-მასალების ნატურალობის საკითხებზე მუშაობს.

უკანასკნელ დრომდე საერთოდ კვების მრეწველობაში დადგენილი არ იყო ხილ-კენკრის წვენების ნატურალობის დამახასიათებელი ობიექტური მაჩვენებლები, ეს აფერხებდა წვენების წარმოების სრულყოფილ კონტროლს და ზოგჯერ უხარისხო პროდუქციის გამოშვების მიზეზიც კი ხდებოდა, ხილ-კენკრის წვენის ხარისხის შეფასება ციტრული მჟავიანობის და მშრალი ნივთიერების რეფრაქტომეტრიულად გაზომვის გზით არ იძლეოდა ზუსტ დასკვნას წვენის ნატურალობისა და ხარისხის დასადგენად. ლაბორატორიამ შეისწავლა ნატურალური წვენების ქიმიური შედგენილობა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რათა დაედგინათ წვენების ნატურალური მაჩვენებლები.

შეისწავლეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული სამრეწველო მნიშვნელობის ვაშლის, კომშის, ალუბლის, მაყვლის, მოცვის, შინდის და სხვა ნედლეულისაგან დამზადებული ნატურალური წვენები. ნიმუშები აღებული იქნა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან, გამოიკვლიეს, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ნივთიერების შეტანა წვენის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე. შეარჩიეს მგრძნობიარე მაჩვენებლები, რომლებითაც ჩვენს ქვეყანაში პირველად დაადგინეს წვენის ნატურალობის განსაზღვრის მეთოდი, შეისწავლეს ხელოვნურად დამზადებული წვენები.

წვენები და ღვინო-მასალები ხასიათდება ბუფერული თვისებებით. მათი ბუფერული ტევადობის გაზომვა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ზუსტი მჟავიანობა და მათი მილების შემცველობა. გასაზომი ხელსაწყო შეიქმნა ამავე ლაბორატორიაში დოცენტ კ. ცაგარელის ხელმძღვანელობით. განყოფილების გამომგონებლები არიან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ეთერ გელაშვილი, იზოლდა კუპატაძე, ნანა სიხარულიძე და სხვები. საკვებ-მცენარეული ნედლეულის განყოფილების თანამშრომლები ჩვეული მონდომებითა და თავდადებით შრომობენ, ეძებენ ახალ გზებს და მეთოდებს ხილ-კენკრის წვენების შესწავლისა და დამზადების საქმეში.

დღითი-დღე იზრდება მოთხოვნილება უალკოჰოლო სასმელებზე. დიდია მოთხოვნილება მათზე ზაფხულის ცხელ დღეებში. წინათ ტექნიკური პირობების მიხედვით, უალკოჰოლო სასმელების შენახვის ხანგრძლივობა შვიდ დღეს არ აღემატებოდა. ამიტომ მათი დიდი რაოდენობით დამზადება შეზღუდული იყო. ამ საკითხის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს უალკოჰოლო სასმელების განყოფილებაში. აქ დამუშავდა უალკოჰოლო სასმელების გამოყენების დროის გახანგრძლივების საკითხი. რომლის ხელმძღვანელი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ახალგაზრდა სპეციალისტი ლუარა ქუთათელაძეა. განყოფილებამ ასკორბინის მჟავის გამოყენებით უალკოჰოლო სასმელების მდგრადობა 20-25 დღით გაახანგრძლივა, ნაცვლად შვიდი დღისა. ეს სიახლე ფართოდ ინერგება ხილის წყლების ქარხნებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ლუარა ქუთათელაძის ხელმძღვანელობით მრავალ სიახლეს ეყრება საფუძველი კვების მრეწველობაში. პირდაპირ საოცარია იმ კომპონენტთა დასახელება, რომლებსაც ლუარა ქუთათელაძე და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. კერესელიძე ამზადებენ ხილეულის წყლებისათვის.

— ბევრჯერ ველზეც გავსულვართ სამკურნალწამლო მცენარეების საძებნელად, — ამბობს ლუარა, — ჩვენი განყოფილების მუშაკები ვთხრიდით მრავალძარღვას, ვკრეფდით მოცვს და სხვადასხვა სასარგებლო მცენარეს. როგორც ვიცით, უალკოჰოლო სასმელების დამზადებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათში შემავალ ხარისხიან კომპონენტებს, მათს კვებით ღირებულებას. ამ მასალების შერჩევის, მათზე დაკვირვებებისა და მეცნიერული შესწავლის შემდეგ გამოაქვთ ლოგიკური დასკვნები ყოველი ნედლეულის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია სამკურნალწამლო ბალახ-მცენარეებით, ხილ-კენკროვანებით, ამიტომ ზოგიერთი მათგანის გამოყენება უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის მეტად სასარგებლოა. მათი თვისებების შესწავლა კი შრომა ტევადი და რთულია.

ამავე განყოფილებაში ლ. ქუთათელაძემ და უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. კერესელიძემ მიიღეს ახალი ტიპის სასმელები „ლელა“, „საქართველოს თაიგული“ და „ოქროს საწმისი“, რომელთა კომპონენტებად ძირითადად გამოყენებულია საქართველოში გავრცელებული ციტრუსები, სამკურნალწამლო მცენარეები. ეს სასმელები ცვლის ადამიანის განწყობილებას, ახალისებს მას, ასე რომ, მათ „მატონიზირებელი“ სასმელებიც კი უწოდეს. ისინი მოიწონეს სადეგუსტაციო კომისიებმა მოსკოვში, სადაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ხოლო სასმელი „ოქროს საწმისი“ შეტანილია მსოფლიო ოლიმპიადა-80-ის სხვადასხვა სასმელთა კომპლექსში.

უალკოჰოლო სასმელების მრეწველობაში ნაკლებად იყო გამოყენებული კომში, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი მდიდარი ქიმიური შედგენილობით. განყოფილების თანამშრომლები გულმოდგინედ მუშაობენ ჭარხლის წვენის შედგენილობის შესწავლაზე. მალე ჭარხლის წვენს წარმატებით გამოიყენებენ უალკოჰოლო სასმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების წარმოებაში. ასეთი სასმელი სასიამოვნო და სასარგებლო დასალევი იქნება ჰიპერტონიით დაავადებულთათვის.

წინათ საკონდიტრო მრეწველობაში წითელი საღებავის შერჩევა მეტად რთული პრობლემა იყო (და საერთოდ, საკონდიტრო მრეწველობა ბუნებრივი საღებავების ნაკლებობას განიცდის), თანაც არსებული საღებავები გარკვეული დროის შემდეგ სახიფათოა ადამიანისათვის.

უალკოჰოლო სასმელების განყოფილებაში უფროსი ინჟინრის ივანე სიმონიშვილის ხელმძღვანელობით ჭარხლისაგან მიიღეს ჭარხლის წითელი საღებავი როგორც ფხვნილის, ისე შესქელებული სითხის სახით. იგი გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში, ამასთან ადამიანი დაზღვეულია მოწამვლის საშიშროებისაგან.

განყოფილებაში უმაღლესი ხარისხის ხილ-კენკრის დაწმენდილი წვენებისა და ჩაის ექსტრაქტების ბაზაზე დ. ლობჟანიძემ შეიმუშავა სპეციალური სასმელების მიღების ტექნოლოგია. რა არის მისი არსი?

როგორც წვენები, ისე ექსტრაქტები დიდი კვებითი ღირებულებით ხასიათდება. ამასთანავე შეიცავს სასარგებლო კომპონენტებს, რომლებიც ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესის დროს ცვლილებებსაც კი განიცდის. მათ შექმნეს მშრალი კონცენტრატები გაყინვის მეთოდით, რომლებიც მნიშვნელოვნად ინარჩუნებენ კომპონენტებს.

ცნობილია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ყინულიან ცივ ჩაის სვამენ. მთელი რიგი ფირმები, კერძოდ კომპანია „კოკა-კოლა" უშვებენ ცივ წყალში ხსნად ჩაის. მაგრამ ეს პროდუქტები დაბალხარისხოვანია, ვინაიდან მიღების დროს ჩაის ექსტრაქტს ის ნივთიერებები მოშორდება, რომლებიც ცივ წყალს ამღვრევენ. გაშორებულ ნივთიერებას ზოგჯერ სასარგებლო კომპონენტი გადაყვება ხოლმე. ინსტიტუტში მსოფლიოში პირველად შემუშავდა ცივ წყალში ხსნადი ჩაის პრინციპულად განსხვავებული მეთოდი, რომელიც ემყარება ბაიხაო ჩაიდან ისეთი სასარგებლო კომპონენტების გამოყოფას, რომლებიც ცივ წყალში გამჭვირვალე ხსნარს იძლევა.

ამ ნიმუშმა წარმატებით გაიარა სპეციალური საექსპლოატაციო გამოცდა და მეტოქეობა გაუწია მრავალ უალკოჰოლო სასმელს, რომლებიც ჩაისაგან მზადდებოდა. ინსტიტუტში საინტერესო სამუშაო შეასრულა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა შ. კულულაშვილმა. მან მიიღო ბორჯომის მინერალური წყლის მშრალი სახეობის ფხვნილი, რომელიც წყალში გახსნის შემდეგ უნაკლოდ ინარჩუნებს ყველა იმ თვისებას, რომლებიც ბორჯომის ბუნებრივ მინერალურ წყლებს აქვს. ამ ფხვნილმა წარმატებით გაიარა გამოცდა და მიღებულია დასანერგად.

სიახლეებს რა გამოლევს ინსტიტუტში. აქ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ვაჟა ფრუიძის ხელმძღვანელობით მშრალი სახით მიღებულია ნივრის ფხვნილი და ნივრის აბები. ადგილობრივი რესურსების გამოყენების გზით მიიღეს შავი პილპილი, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოტანილს არ ჩამოუვარდება. სხვადასხვა ბოსტნეული მასალებისაგან მშრალი სახით დაამზადეს სანელებლები, ყველა იმ ფერისა და შედგენილობის მიხედვით, რაც ახასიათებს ამა თუ იმ ბოსტნეულს. მაგალითად, ქინძი, რეჰანი, წითელი პილპილი, ხარჩოს სანელებლები და სხვ.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ქლიკაძის ხელმძღვანელობით მუშავდება ეთერზეთოვანი ბალახოვანი ნედლეულის გადასამუშავებელი მექანიზირებული ხაზები, ინერგება აგრეთვე ეთერზეთოვანი ბალახოვანი ნედლეულიდან ზეთის გამოსახდელი მანქანები, რომლებიც ოთხჯერ გაზრდის ზეთის მწარმოებლობას. ინსტიტუტში საინტერესო საკითხი შეისწავლა და დაამუშავა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მთავარმა ინჟინერმა შ. მეფარიშვილმა. მან შექმნა უწყვეტი მოქმედების საწნეხი მანქანა, რომელიც უდანაკარგოდ იღებს და ამუშავებს ხილის წვენებს, წინათ ამ პროცესს დიდი დრო სჭირდებოდა, ხილის წვენების დანახარჯიც და დანაკარგიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ამ მანქანის საშუალებით დაიზოგა აგრეთვე დრო. საინტერესო დაკვირვებებს აწარმოებენ მეცნიერებათა კანდიდატები ი. აშჩიანი, ზ. შალიკიანი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნაზი ალხანიშვილი, როინა ჰეიშვილი, ფლორიდა მელია და სხვები.

დამზადებულია ყურძნის ტკბილი ჭაჭის ექსტრაქტორი, რომლითაც მალე ხდება ჭაჭის მიღება და მისი უტილიზაცია.

ინსტიტუტმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნადეჟდა ღონღაძის ხელმძღვანელობით შეიმუშავა დიაბეტური ქართული პურის ტექნოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს დღემდე დადგენილ რეცეპტებში ცილებისა და მეტი რაოდენობის საფუარების შეტანა. ახალ დიაბეტურ პურს მთელი რიგი უპირატესობანი აქვს. ექიმები მას დიაბეტით დაავადებულების გარდა უნიშნავენ ავადმყოფებს, რომლებსაც ცილოვანი დიეტა სჭირდებათ.

შეიქმნა ნივრის გამრჩევი მანქანა, რომელიც 8-10- კაცის შრომას ცვლის. ეს მანქანა დაინერგა საგარეჯოს საკონსერვო ქარხანაში. მუშავდება საკმაზების შრობის ახალი მეთოდები. შემუშავდა მშრალი აჯიკის რეცეპტურა.

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პ. ნიორაძემ შექმნა ყურძნის წვენის მიღების მექანიზირებული ხაზი, რომელიც საგრძნობლად ამცირებს ყურძნის წვენის მიღების ხანგრძლივობას.

შეიქმნა კახური ღვინოების დამამზადებელი მექანიზირებული ხაზი, რომელიც ზრდის მწარმოებლობას. ღვინის დამუშავების პროცესი ამ ხაზზე უწყვეტ ნაკადად მოედინება. ეს სიახლე კაჰრეთის ღვინის ქარხანაში ინერგება.



ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ნ. იაკობაშვილი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ვ. ასატუროვა

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. სამადაშვილი და ინჟინერი ნ. კიკნაძე



და კიდევ ბევრი პრობლემა მუშავდება ინსტიტუტში, რომლის მიზანია ადგილობრივი მდიდარი საკვები რესურსების გამოყენებით შეიქმნას საკვები ულუფის ნაირსახეობა, ეს კი გააკეთებს ადამიანის ჯანმრთელობას, უფრო მეტად გაზრდის მის შრომის ნაყოფიერებას.

ნუნუ ჩიხრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პირველი კომკავშირელები

# თამარ ბახტაძე

„იმათ ტანზე წვეტიანი დანით იჭრებოდა წითელი ვარსკვლავი... ბევრნი დაიხოცნენ. დარჩენილთ შეუძლიათ თქვან: რევოლუცია ვიხსენით! მათი კოლექტიური სახელია კომუნისტური ახალგაზრდობა“, — წერდა რევოლუციონერი მარქსისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი ვალია ბახტაძე.

ამ ახალგზრდობის, ოციანი წლების — პირველი კომკავშირელების რიცხვს ეკუთვნოდა თამარ ბახტაძე.

დაბა ხონში ასწლოვანი მუხებითა და ქადრებით შემოჯარული ბაღის მახლობლად იმერული ფიცრული სახლი იდგა. აქ ცხოვრობდა ბათუმის მანთაშევის ქარხნის მუშის სამსონ ბახტაძის დიდი ოჯახი. რევოლუციური სულით აღზევებულ და-ძმას — ვალია, თამარ, ეუნია ბახტაძეებს ქარიშხლიანი დღეები, ქარიშხლიანი სიყმაწვილე ჰქონდათ.

დილის რიჟრაჟზე აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის საყვირის ხმა ბედუკუღმართ დროში მცხოვრებთ ხანგრძლივი სამუშაო დღის დაწყებას ამცნობდათ. ძილდამფრთხალი ბავშვები უფროსებთან ერთად ფაბრიკისაკენ მიეშურებოდნენ. ისინი იქ შრომაში იწრთობოდნენ.

რვა წლის თამარ ბახტაძე უკვე ფაბრიკის მუშა იყო. მაღალქუსლიანი ხის ქოშები ეცვა და სამუშაო დაზგას ძლივს სწვდებოდა. უფროს დებთან ერთად აბრეშუმის ძაფს იღებდა და ქაფქაფა წყალში თითები ეფუფქებოდა. შებინდებისას ქანცმილეული მუშა ქალები ქალაქის ბაღს გვერდით ჩაუვლიდნენ და სიმდიდრით განებივრებულ მოსეირნე თანატოლებს ირიბად გახედავდნენ.

თამარმა, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვმა, ძაფსაღები ფაბრიკის კედლებში საბრძოლო ცხოვრების პირველი ნათლობა მიიღო. მთელი ოჯახი — მშობლები და ექვსი და ვალიას საბრძოლო გზას მიჰყვებოდა.

1915 წლის ზაფხულში ძაფსაღებ ფაბრიკაში მუშათა გაფიცვამ იფეთქა. გაფიცვას ვალია ბახტაძე ხელმძღვანელობდა. გაფიცვაში თამარი და მისი უფროსი დებიც მონაწილეობდნენ. კრებები მათ სახლში იმართებოდა.

მიდიოდა წლები. თამარის დედა ტასო გაუტეხელი, მტკიცე ხასიათის ქალი იყო და იმედს არ კარგავდა, ზრუნავდა შვილების სწავლა-განათლებისათვის. სწავლამოწყურებული თამარი ჯერ ხონის წმინდა მარიამის სასწავლებელში, შემდეგ ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა.

მისი რევოლუციური სულისკვეთება სასწავლებლის მერხზევე მომწიფდა. იგი პოლიტიკურ ლიტერატურას ბევრს კითხულობდა. რევოლუციონერთა მძიმე და ვაჟკაცური ცხოვრება იტაცებდა. ვალია დებისათვის მაგალითი იყო. მათ ერთი რწმენა ჰქონდათ — მხოლოდდამხოლოდ რევოლუციური. აუცილებელი გამარჯვების დიდ გზაზე თამარი და მთელი ოჯახი გამოჩენილმა მარქსისტ-ლენინელმა ვალია ბახტაძემ დააყენა.

ჟანდარმები მათ ნაკვალევს სდევდნენ, სდევნიდნენ ვალიას, თამარს, ეუნიას, მთელ ოჯახს, მაგრამ მიზანს იოლად ვერ აღწევდნენ. დაპატიმრება, გადამალვა, შიში, სიხარული ერთმანეთს სცვლიდა. ვალია რევოლუციონერთა მთავარ ბირთვთან იყო დაკავშირებული. თამარმა რევოლუციური მოღვაწეობა 1917 წლიდან დაიწყო. ახალგაზრდული ორგანიზაციის „სპარტაკის“ დავალებას გულმხურვალედ ასრულებდა, თვითონაც სპარტაკელი გახდა. შემდეგ მოსწავლეთა კომკავშირულ არალეგარულ უჯრედს აყალიბებს და ხელმძღვანელობს, პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდებს შემოიკრებს და ქუთაისის ორგანიზაციასთან კავშირს აბამს. იწვევენ შეკრებებს, მათ ესწრებიან ქალთა გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლე სპარტაკელები — თამარის უფროსი და ეუნია, ანა ბახტაძე (მწერალ ნოდარ დუმბაძის დედა) და მრავალი სხვა. უჯრედის საქმიანობა მრავალფეროვანი იყო. თამარი დავალებებს იღებდა და ასრულებდა. პროკლამაციებს, მოწოდებებს დაწესებულებების, თეატრის კედლებზე აკრავდა, არალეგარულ ლიტერატურას მოსახლეობასა და მოსწავლეებში ავრცელებდა, რევოლუციური იდეები ახალგაზრდობაში შეჰქონდა.

ხონის ბოლშევიკურ ორგანიზაციას არალეგარული სტამბის მოწყობა ჰქონდა განზრახული. შრიფტი ქუთაისის არალეგარული სტამბიდან წამოიღეს. ვალია ბახტაძემ მძიმე ტვირთი ეტლით ჩამოიტანა ქუთაისიდან და სახლში თამარს ჩააბარა. მშობლების დახმარებით სამზარეულოში მოხერხებულად გადამალეს. მდევრებმა სახლი ბევრჯერ გაჩხრიკეს, მაგრამ შრიფტის კვალს ვერ მიაგნეს.

1919 წლის მიწურული იდგა. დეკემბრის ცივი ქარი ჰქროდა. თამარ ბახტაძე ქუთაისში მიმავალ დილიჟანს ელოდა. მალე პირტახიამ დილიჟანსი მგზავრებით აავსო და გზას ქუთაისისაკენ აიღო. თამარი კუთხეში მიყუჟული წიგნს ჩაჰკირკიტებდა. ქუთაისში ჩავიდნენ და თამარის თვალები ვიღაცას გაფაციცებით დაეძებდა. მის წინ უცნობი ქალიშვილი აღიმართა — „მერცხლები უკვე გაფრინდნენ“ — ჟრუდ წარმოთქვა ქუთაისელმა, „მოფრინდნენ“ — წასჩურჩულა თამარმა და გადაეხვივნენ ერთმანეთს. თამარს გიმნაზიელი შუშანა კუპრაშვილი შეხვდა, არალეგარული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი. თეთრი ხიდი უკან ჩამოიტოვეს და თამარ გაბარაშვილთან მივიდნენ. გაბარაშვილმა არალეგარული ლიტერატურა, პროკლამაციები თამარს გადასცა.

პირველი კომკავშირელები ბრძოლებში დაიბადნენ და დავაჟკაცდნენ — დიდი იყო მათი ბრძოლის პათოსი და რომანტიკა. ასეთი იყო ვალია, თამარ ბახტაძეები და მრავალი სხვანი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თამარ ბახტაძე კომკავშირის ხონის რაიკომის წევრია, შემდეგ კომკავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მუშაობდა ქუთაისში კომკავშირის სამაზრო კომიტეტში, ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის სამაზრო ბიუროს თავმჯდომარედ.

თამარი, უნივერსიტეტდამთავრებული ფილოლოგი, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობაშია, შემდეგ კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტს ხელმძღვანელობს.

თამარის ცხოვრება დიდი საბრძოლო რომანტიკით იყო აღსავსე, მას ყველგან ენთუზიაზმი სდევდა თან. — კაფანდარა აღნაგობის დარბაისელი მანდილოსანი მუდამ კეთილ ღიმილს გაგებებდა. იგი სულ ახლახან მიიბარა თბილისის მიწამ.

სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე თამარ ბახტაძე იღვწოდა, წერდა მოგონებებს, მუშაობდა. მას ეკუთვნის მონოგრაფია „ჩვენი ვალია“, ამაღელვებელი წიგნი 20-30-იანი წლების გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის ვალია ბახტაძის განვლილი საბრძოლო გზის შესახებ. „ოციანი წლების კომკავშირელები“, — ასე უწოდა წიგნს, რომელიც 1976 წელს გამოსცა. ეს ხომ თავისი ბიოგრაფია და მისი მეგობრების, პირველი კომკავშირელების საბრძოლო გზა არის, ასე ხატოვნად, ასე შემართებით რომ აღწერა თამარ ბახტაძემ.

„ხშირად მეკითხებიან, თუ რომელი წლიდან ვარ კომკავშირის ან პარტიის წევრი, მიძიმს პასუხის გაცემა, რადგან ახე მგონია კომკავშირელად, კომუნისტად დავიბადე!“

ეს სიტყვები თამარ ბახტაძეს ეკუთვნის, ოციანი წლების ვეტერან კომკავშირელს, რომელმაც მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე კომუნისტურ პარტიას, სამშობლოს დიდ სიყვარულს შეალია.

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცეროდენების მასპინძელი



ვინ იცის, რამდენ დედას უნატრია საყოფაცხოვრებო მომსახურების ისეთი კერა, სადაც ყმაწვილს თავით ფეხებამდე შეუმოსავდნენ.

ვინ მოთვლის, რამდენ ახალბედა დედას უოცნებია ისეთ ატელიეზე, ჩვილს მისი გემოვნების თეთრეულს რომ შეუკერავდნენ...

დროული იყო და გაიხსნა კიდეც თბილისში, სანაპიროზე, კამოს ქუჩაზე საბავშვო კომბინატი „ცეროდენა". ვიტრინაში გამოფენილი თერძისა თუ ხარაზის ნახელავი, ჩვილის თეთრეულის ნიმუშები გამვლელთა ყურადღებას იქცევს.

... ფერადმინებიანი კარით შედიხართ მისაღებში. კედელზე — იატაკიდან ჭერამდე ლაღობენ ზღაპრების გმირები. ლითონის ორიგინალური ჭაღი, ლითონით მოპირკეთებული ხის აჟურული ფარდები მყუდრო, მიმზიდველ გარემოს ქმნის. რას აღარ იტევს ფერადი თაბაშირისაგან ნაკეთი „ნატვრის ხე"...

ინატრეთ და... საბავშვო კომბინატში სურვილს ყველას შეუსრულებენ, ოღონდ... ცეროდენებს.

სულ რამდენიმე თვეა, რაც გაიხსნა „ცეროდენა" და მან უამრავ ყმაწვილს აჩუქა სიხარული. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური დანადგარებით. გამოცდილი ოსტატების განკარგულებაშია საკერავი და საქსოვი, ამოსაქარგი, ფეხსაცმლის ზედაპირის დამამზადებელი და ლანჩების სახეხი მანქანები, დაზგები. აქ შეკვეთებსაც იღებენ და შეძლებისდაგვარად მზა პროდუქციითაც მასპინძლობენ პატარა მომხმარებლებს. იკერება კაბები და შარვლები. კოსტუმები და ხალათები. პერანგები და წინსაფრები, ქუდები, ყველა სეზონისათვის — ფეხსაცმელი. თუკი სურვილი გაქვთ, ფერად მაღალყელიან წინდებსაც მოგიქსოვენ.

კმაყოფილებას იწვევს ჩვილისათვის შეკერილი ნაზი, მაქმანებიანი თეთრეულის კომპლექტები, საბნები.

დღითი დღე ფართოვდება აქაური ასორტიმენტი. საბავშვო კომბინატის უფროსის, ახალგაზრდა კომუნისტი ქალის ეთერ სურგულაძის სამუშაო მაგიდაზე მუდამ ნახავთ ბავშვის ნაირ-ნაირი სამოსის, ჩვილებისათვის თეთრეულის ახალ ნიმუშებს. აქ ფიქრობენ, მომავალში ყმაწვილებს კიდევ რითი გაუხარონ გული.

— ვეცდებით „ცეროდენასაკენ" მუდამ მოუხაროდეთ ჩვენს გოგობიჭებს, — ამბობს თბილისის სადღესასწაულო სახეობათა საწარმოო კომბინატის დირექტორი ელზა სვიმონიშვილი.

სულ რამდენიმე პატარა ოთახია საბავშვო კომბინატის განკარგულებაში. ფეხსაცმლის კერვის სახელოსნოში ოთხი ხარაზი ვიწროდ გრძნობს თავს. თერძები კი კომბინატიდან მოცილებულ შენობაში მუშაობენ. მომხმარებელს ხშირად უწევს მკერავთან გადასვლა, ხდება პირიქითაც. იკარგება დრო, რთულდება, ფერხდება მომსახურება...

აქაურ ხარაზთა ნახელავი ლამაზია და გამძლე. მათი ნამუშევრები დახვეწილია და გემოვნებით შესრულებული. და ეს შემთხვევით როდია: საბავშვო კომბინატი გამოცდილი ოსტატებით არის დაკომპლექტებული. მათ ნამუშევრებზე მოთხოვნილება უკვე დიდია და ხშირად ვერც აუდიან მომხმარებელს.

კომბინატში მზრუნველი გარემო სუფევს. ეს, ალბათ, იმიტომაც, რომ აქაურ მუშაკთა უმრავლესობა ქალია. მკერავს თალიკო მუსერიძესა და ნადეჟდა ზოლნიკოვას ორ-ორი შვილი ჰყავთ და კარგად იციან, როგორი ნახელავით გაახარებენ პატარებს. თალიკო მუსერიძისა და ზინა მურვანიძის მიერ შეკერილ საკონცერტო კაბებს აღტაცებაში მოჰყავთ გოგონები. რიმა ბაღდასარიანის მოქსოვილ ტანსაცმელს მოზარდები სიხარულით იცვამენ. ასია თომასიანი ოსტატურად ქარგავს სამოსს. საამისოდ არც ფანტაზია ელევა და არც მხატვრული გემოვნება. სკკპ წევრობის კანდიდატი ნადეჟდა დევნოზაშვილი ტრიკოტაჟის ნაწარმზე მუშაობს...

... ეგ არის, შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს ემსახურება კომბინატი, რაც ხშირად უსიამოვნო, უხერხულ სიტუაციებს ქმნის. რამდენჯერ ატირებულან 8-9 წლის ყმაწვილები, შეკვეთის მიღებაზე უარი რომ უთხრეს. იყო შემთხვევა — დედას დაბადების მოწმობის მოტანაც კი დასჭირდა შვილის შვიდი წლის ასაკის დასადასტურებლად. შვიდი წლის მზიას 34 ზომის ფეხსაცმელი ერგებოდა. „ცეროდენაში" კი 32 ზომის ჩათვლით კერავენ...

„ცეროდენამ" უკვე დაიმსახურა მრავალი დედისა და ყმაწვილის მადლობა. ბევრმა მშობელმა სამდურავი კი არ დაფარა: რა იქნება შვილებთან ერთად აქ დედებზეც ზრუნავდნენო.

საბავშვო კომბინატი ერთადერთია ჩვენს რესპუბლიკაში და თავისი დანიშნულება უნდა გაამართლოს: ყმაწვილებისათვის იკერებოდეს ყველაფერი — ცხვირსახოციც კი, ჰქონდეს, სათამაშოებისა თუ საბავშვო ეტლების შემკეთებელი სექცია და საპარიკმახერო, ფოტოსალონი...

რაც შეეხება მომხმარებელთა ასაკს... ხომ არ აჯობებდა ათი წლის ყმაწვილებს მაინც მომსახურებოდა კომბინატი?!

... მუდამ გულუხვად ემასპინძლოს „ცეროდენას" ცეროდენებისათვის.

**ნათელა ქიმერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამარ თუშიშვილი

სახხერის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობამ და სცენაზე გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა განაპირობა გოგონას მომავალი ბედი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თამარ თუშიშვილი 1927 წელს წარმატებით აბარებს გამოცდებს რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში და თეატრის სიყვარულით შეპყრობილი უკვე დიდ ხელოვანთა გარემოცვაში ხვდება. მაგრამ მარტო სიყვარული როდი კმაროდა. შრომა იყო საჭირო, და ისიც თავგამოდებით შრომობდა, სწავლობდა, თან სცენაზე გამოდიოდა.

ასე შეუდგა თამარ თუშიშვილი მსახიობის მძიმე, რთულსა და საყვარელ გზას. იგი თავს ბედნიერად თვლის, რომ რეჟისორ სანდრო ახმეტელთან მოღვაწეობდა. მის თითქმის ყოველ სპექტაკლში მონაწილეობდა, უმთავრესად მასიურ სცენებსა და ეპიზოდებში.

ახლაც ახსოვს მსახიობს თავისი გამოსვლა „ზაგმუკში" (ე. გლებოვი): ვაკხანალიის სცენა, სადაც თავდავიწყებით ცეკვა იყო საჭირო: „ისე გატაცებით ვცეკვავდი და დავხტოდი, მეგონა, მე ვიყავი მთავარი გმირი პიესისა".

ხოლო ა. მაშაშვილის „განგაშში", სადაც კულაკის მოსამსახურის როლს ასრულებდა, ყოველ მოძრაობასა და მიმიკას თვით ახმეტელი ასწავლიდა. გაოცებული შესცქეროდა ახალგაზრდა მსახიობი ამ ათლეტური გარეგნობის კაცს და უკვირდა, როგორ ლვედივით იყო მოქნილი ხოლმე რეპეტიციებზე, როგორ ზუსტად უჩვენებდა ყოველ მოძრაობას. „და მართლაც, ისე ვითამაშე ეს ეპიზოდური როლი, რომ ქუჩაში აღარ მატარებდნენ, გამვლელები „ტერეზა გოგოს" მეძახდნენ. საშასაც ძალიან უყვარდა, როცა ეპიზოდური როლი კარგად გამოდიოდა. მას მთავარისაგან აღარ არჩევდა... ასევე იყვნენ მსახიობებიც. მათ უყვარდათ ყველა როლი, მთავარიც, ეპიზოდურიც..."

თამარი იგონებს თავის გამოსვლას „ანზორში", სადაც ის თამაშობდა ორ ეპიზოდს: მსახიობი მონაწილეობდა სხვა დადგმებშიც: „საქმის კაცი", „ხოჭოების დოლი", „ქართა ქალაქი", „ლამარა", „ყაჩაღები", „თეთნულდი", „სამნი", „პაისტერი", „სალტე", „ინტერვენცია", „ღვარძლი".

გადიოდა წლები. თამარ თუშიშვილმა უკვე გამოკვეთილად წარმოაჩინა თავისთავადობა და არა ერთი სცენური სახე გახსნა: —ასეთები იყო „არსენაში" — მართა, „შემოდგომის აზნაურებში" — კაროლინა, „ბოგდან ხმელნიცკში" — ვარვარა, რომლის რეპეტიციებსაც კორნეიჩუკი თავად ესწრებოდა; „გიორგი სააკაძეში" — დედა, „სულელში" — ბარონესა, „პროფესორ მამლოკში" — ელენე, „ინსპექტორი მოდის" — სიბილა ბერლინგის როლი; „ერთი ღამის შეცდომებში" — ქ-ნ ჰარდკასლის როლი; „კიკვიძეში" — პრასკოვიას როლი; „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება" — მანეფას როლი; — „ხანწობლოში" — ტყვე ქალი, „თოფიანი კაცი" — ვარვარა ივანოვა; „დავაში" — სიდონიას როლი; „კრწანისის გმირებში" — დარეჯან დედოფლის როლი; „ღალატში" — ზეინაბი; „ტირიფის ქვეშ" — პუპიას როლი; „დიდ ხელმწიფეში" — გოდუნოვის მეუღლე და მრავალი სხვა.

1937 წელს რეჟისორმა შოთა აღსაბაძემ რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა უ. შექსპირის „ოტელო", რომელშიც აკ. ხორავასა და აკ. ვასაძის გვერდით თამარ თუშიშვილი მეტად პასუხსაგებ როლს ასრულებდა. ეს იყო ემილია. ამდენად, თუშიშვილი ამ დადგმაში პირველი სპექტაკლის — პრემიერის მონაწილეა!

ქართულმა „ოტელომ" ტრიუმფით მოიარა მთელი საბჭოთა კავშირი. პრესაში ერთმანეთს ცვლიდა აღფრთოვანებული რეცენზიები. მსახიობი ქალის დიდ დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ რეცენზიებში თუშიშვილის ემილია აკ. ხორავასა და აკ. ვასაძის გვერდით არის მოხსენიებული და შექებულიც.

„ტემპერამენტით, დიდი შინაგანი დაძაბულობით თამაშობს ემილიას ორდენოსანი მსახიობი თამარ თუშიშვილი. უკანასკნელ სცენაში ახალგაზრდა მსახიობი ნამდვილ ტრაგიკულ სიმაღლეზე ადის", — აღნიშნავდა შ. ბუაჩიძე თავის წერილში. — „ოტელო" რუსთაველის თეატრში". სამამულო ომის წლებში ენერგიით, ჩაუფერხებლად მოღვაწეობდა ქალბატონი თამარი თეატრსა და ჰოსპიტლებში, ძალ-ღონეს არ ზოგავდა დაჭრილთა დასახმარებლად, კონცერტებს უმართავდა მათ, მიჰყავდა ისინი თეატრში, აგროვებდა საჩუქრებს ფრონტზე გასაგზავნად და ომში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად...

თამარ თუშიშვილის ღვაწლი ღირსეულად დააფასა მთავრობამ. მან მრავალი ჯილდო დაიმსახურა. მიიღო „საპატიო ნიშნის" ორდენი და მედლები. 1941 წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ თამარ თუშიშვილმა 1944 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო 1950 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის სახალხო უნივერსიტეტი. 1954 წელს ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი და წლების მანძილზე მუშაობდა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მხატვრული კითხვის პედაგოგად. მან ბევრ ახალგაზრდას გაუღვივა ინტერესი და სიყვარული თეატრისადმი.

თამარ თუშიშვილი ახლაც დაუღალავად მოღვაწეობს საქართველოს რადიოკომიტეტსა და კინოსტუდია „ქართულ ფილმში", ხშირად მიჰყავს გადაცემები, ახმოვანებს ფილმებს და მხატვრულ ფილმებში ასრულებს ეპიზოდურ როლებს.

ჩვენს კითხვაზე, თუ რომელი როლი უყვარს ყველაზე მეტად, ქალბატონმა თამარმა უყოყმანოდ აღიარა — ზეინაბი! (ა. სუმბათაშვილის „ღალატი"). ზეინაბი, უდიდესი პატრიოტი ქალი, რომელიც ვერაფრით ვერ ეგუებოდა თავისი სამშობლოს მონურ მდგომარეობას, მაგრამ მას მომავლის რწმენა ასულდგმულებდა, მომავლისა, რომელიც ქართველ ხალხს თავისუფლებას მოუტანდა. მსახიობი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ სახეს. არაჩვეულებრივი სიზუსტით გამოაქანდაკა იგი და ღირსეული პარტნიორობა გაუწია სცენის კორიფეებს.

თვით ნუცა ჩხეიძე აღფრთოვანებული იყო თამარ თუშიშვილის ზეინაბით. მან მსახიობს წარმატება მიულოცა და დალოცა: ასე გაგემარჯვებინოს ყოველთვის სცენაზეო. ეს როლი შვილივით მიყვარს, ახლა ხანში შევედი და გამიხარდა, რომ ასე კარგად დაძლიე და ჩემი როლი ახლა შენთვის დამილოცნიაო!...

მსახიობის დიდ აქტიორულ ოსტატობაზე, მის უსაზღვრო შესაძლებლობებსა და ნიჭზე მეტყველებს აგრეთვე მართას სცენური სახე ს. შანშიაშვილის „არსენაში", (დადგმა აკ. ვასაძისა).

თამარ თუშიშვილის შემოქმედებაზე ბევრს წერდნენ გამოჩენილი კრიტიკოსები და თეატრმცოდნეები: ბესარიონ ჟღენტი, შ. აფხაიძე, ბ. აბულაძე, შ. ბუაჩიძე, პ. პავლენკო და სხვ. ისინი ქებას ასხამენ მსახიობს და ეს უპირველესად რეჟისორ სანდრო ახმეტელის დამსახურებაა.

ყოველი თეატრის, ყოველი მსახიობის წინსვლასა და ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის რეჟისორს. რეჟისორი ხომ მსახიობის შემოქმედების მუდმივი თანაზიარია. რეჟისორის თავდადებული მუშაობისა და მისი უსაზღვრო ფანტაზიის წყალობით მრავალი მსახიობი ეზიარა უკვდავებას.

ხწორედ ამით აიხსნება რუსთაველის თეატრის ესოდენ დიდი აღიარება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ და რომლის ბრწყინვალე კორიფეებმა ს. ახმეტელმა, შ. აღსაბაძემ, ა. ხორავამ, ა. ვასაძემ, დ. ალექსიძემ და კ. პატარიძემ შორს გაუთქვეს სახელი ქართულ კულტურასა და თეატრალურ ხელოვნებას. თვით თამარ თუშიშვილი მონაწილე და მოწმეა იმ დიდი აღიარებისა და ტრიუმფებისა, რომლითაც რუსთაველის თეატრის გასტროლებს ხვდებოდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

ვერ დაივიწყებს მსახიობი მოსკოვში გამართულ ოლიმპიადებსა და სანდრო ახმეტელის ტრიუმფალურ დადგმებს „რღვევა", „ანზორი", „ლამარა".

ვერ დაივიწყებს დიდ სიხარულს, გულთბილ მეგობრულ სიტყვებს, ვერ დაივიწყებს მაყურებელთა ოვაციებს, ხალხით გაჭედილ დარბაზებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში...

ვერ დაივიწყებს სპექტაკლ „ლამარას". შემდეგ ს. ახმეტელის მომღიმარ სახეს, ბედნიერ წუთებს: სტალინი, კიროვი, ორჯონიკიძე გამარჯვების ნიშნად ხელს ართმევენ ახმეტელს.

ვერ დაივიწყებს დარბაზობას „სოსნოვკაში" — „კაროლინას" რომელი თამაშობდაო, იკითხა სერგომ და აკაკი ხორავამ ორჯონიკიძეს თამარი გააცნო...

ვერ დაივიწყებს ქართული სიმღერითა და მუსიკით მოჯადოებულ კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვს საცეკვაოდ რომ იწვევს...

ვერ დაივიწყებს ბედნიერ წუთებს, რომელსაც ალბათ ბოლო არა აქვთ...

დალი მელქაძე



„პლატონ კრეჩეტი" — ბოჩკარიოვა

„არსენა" — მართა





„ღალატი" — ზეინაბი



„შემოდგომის აზნაურები" — კაროლინა



„ოტელო" — ემილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

მომღერალ ჯილდა დათუაშვილის ხსოვნას

# მოწყვეტილი ფოთოლი

მოთხრობა

„მზეს ფოთლით აბია დედამიწა... ფოთოლი დედამიწის ყველაზე მგრძნობიარე ნერვია...

მეც დედამიწის ერთი პაწია ფოთოლი ვარ. ჩემს ხსოვნაში ისევ ღვიძავთ გაზაფხულის სურნელოვან თბილ წვიმებს, ყვავილთა ნამქერებს, მომკილ მინდვრებში ეულად დარჩენილ გულწითელებსა და მზეწვიებს, ბინდში მოფართქალე ფარვანებს, ალმურიან ქარებსა და მობმულ ავდრებს...

მე ფოთოლი ვარ, სიცოცხლის მარადისობის ხის ერთ მაღალ ტოტზე კვირტიდან წამიერად ამოფოთქილი, ცივი სივრცის პირისპირ მდგარი, ქართან მოკამათე, ვარსკვლავებთან სათამაშოდ გასული...

ჩემი მშობელი ტოტი საქართველოა, იგი მზის მხარეს გაუტანია მარადისობის ხეს, ახლა კი მხარი მეცვალა, ნისლებში დამეკარგა მაცოცხლებელი სხივი...

ადრე დგება შემოდგომა, ძალიან ადრე...“

— ისევ დღიურს წერთ? — იკითხა კარის ზღურბლთან ალერსიანმა ხმამ.

გოგო შეკრთა, ხშირ-ხშირად აათახულა გრძელი წამწამები, ჭკვიანი თაფლისფერი თვალები მიაპყრო მოსულს. ლოგინს ზემოდან იწვა, ბალიში შეემაღლებინა და მუხლებზე გადაშლილი სქელი რვეული ედო. საწოლზე წამოჯდა, ქოშებში წაყო ფეხი და გულღიად შესცინა ოთახში შემოსულ მაღალ სათვალიან კაცს.

— ჩემი დღე ოთხშაბათია, ბავშვობიდან დამჩემდა კვირაში ერთხელ აქ გავაკეთო ლირიკული გადახვევა, — გოგოს გაეღიმა და მის თვალებში აირეკლა ჯერ მოუშუშებელი ტკივილი, რაღაც აუნაზღაურებელის დაკარგვით გამოწვეული სევდა, თუმცა ამ სევდას იმედის სხივიც დაჰკრავდა.

ლამაზი არ ეთქმოდა გოგოს, მაგრამ ქალური ეშხი არ აკლდა, ახლად დავარცხნილი გლუვი თმა ხანძრის ალივით ევლებოდა ვარს მისი სახის გაცრეცილ ოვალს, თხელი ცხვირის ნესტოები უთრთოდა, ღიმილში ოდნავ გაწელილი სიფრიფანა ტუჩები ამძივული კბილების სითეთრეს ამჟღავნებდა...

— შეიძლება გამაცნოთ ეგ ლირიკული გადახვევა? — თავაზიანად იკითხა კაცმა.

გოგომ რვეული მაგიდაზე დადო, წამოდგა და ოთახში გაიარა. გრძელ, თეთრ კაბაში ჩაკარგული, ლანდივით მსუბუქად დადიოდა.

კაცმა დიდხანს უყურა ლამაზი ასოებით აჭრელებულ ფურცელს, მერე სათვალე მოიხსნა და ბეცი თვალებით მიაჩერდა ფანჯარასთან მდგარ ქალიშვილს.

— რაღა მაინცდამაინც ფოთოლი?.. და მერე კიდევ, საიდან იგრძენით ეს... შემოდგომა? — კაცს შეშფოთება დაეტყო, — განა ჩემს არყოფნაში მოხდა რამე?

— მხარს თავისუფლად ვამოძრავებ და ტკივილებიც აღარ მაწუხებს, — სუსტი ღიმილი შეაგება გოგომ და თავისდაუნებურად მთელი ტანით იგრძნო შეხორცებული ჭრილობის ნაწიბური ლავიწის ძვალთან, — ფოთოლი სულ სხვა რამემ გამახსენა... მერე იგი ჩემს განწყობილებას რაღაცით მიესადაგა და მეც ვეღარ მოვითმინე... საწერად წამიცდა ხელი.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — კაცმა კვლავ სათვალე მოირგო და თეთრი ხალათის ჯიბეში მოაფათურა ტლანქი მარჯვენა.

— მე ტექნიკურ მეცნიერებებს ვეუფლებოდი, ჩემო კეთილო პროფესორო.. ერთი მოხუცი გვყავდა კათედრაზე, მინერალოგიას გვიკითხავდა. მახსოვს, ხელოვნურ ალმასზე ჩამოაგდო სიტყვა და ვიღაც შვედ გამომგონებელ პლატენზე და მის მეგობარ ბოტანიკოსზე გვიამბო. აი რა უთხრა პლატენს მისმა მეგობარმა, — გოგომ რვეული გადაშალა, — „ფოთლები შემოდგომით წითლდებიან, იმიტომ კი არა რომ კვდებიან, არამედ იმიტომ, რომ მათ არ სურთ სიკვდილი. მკვდარი ფოთოლი ცოცხლისაგან იმით განსხვავდება, რომ ზოგიერთი ნივთიერება მასში დაშლილია. ასეთი დაშლა ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს ან ფოთლის სიკვდილამდე, ან სიკვდილის შემდეგ. ფოთლები პირველ შესაძლებლობას ირჩევენ... მოლეკულების ასეთ დაშლას თან სდევს ფერთა ცვლა, რომელიც იწყება შემოდგომით და, ვიდრე ეს პროცესი გრძელდება, ფოთლები ცოცხლობენ... ფოთლები იღებენ ორი კვირით მეტ სიცოცხლეს და გვასაჩუქრებენ შემოდგომის მშვენიერი ალით“.

მეც ასე ვარ... ჩემშიც მიმდინარეობს ახლა მოლეკულების დაშლის შეუფერხებელი პროცესი . და ვიდრე იგი დამთავრდებოდეს... გთხოვთ ცოტაოდენი ცელქობის ნება დამრთოთ... მამღერეთ. მე კიდევ ვიცოცხლებ. სანამ სიმღერა დამთავრდებოდეს...

გოგომ ყელი მოიღერა, თეთრი კაბის კალთები ააპორწიალა და აცეკვდა...

ღია კარში ქერათმიანმა ქალმა შემოიხედა.

— რა დაემართა? — იკითხა გაკვირვებულმა — და გოგოზე ანიშნა მკურნალს.

— სიმღერა მოენატრა, — გულდაწყვეტით გაეღიმა კაცს, თითქოს თანაგრძნობა სთხოვა კოლეგას და გოგოს მიუბრუნდა, — კარგი, იმღერეთ, ჩემო კარგო, თქვენთვის ეს სასარგებლოც კია. კონფერენც-დარბაზს დაგითმობთ. დღესვე გინდათ?

გოგომ თავი დახარა.

* * *

თეთრხალათიან ქალს დერეფანში წამოეწია პროფესორი. მდუმარედ მიაბიჯებდნენ. ასე ჩაიარეს გრძელი ტალანი და ვიდრე დაშორდებოდნენ, ქალმა მხცოვან დასტაქარს სახელოზე მოჰკიდა ხელი, შეაჩერა.

— არ გეშინიათ?

— არა.

— ბრონქებთან სულ ახლოსაა ნაოპერაციევი, ვაითუ...

— შეძლებს... მერე კიდევ... მას აღარაფერი აქვს დასაკარგავი.. იმღეროს. დაე სანამ შეუძლია. — დასტაქარს სული ეხუთებოდა, თითქოს, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა.

— ღმერთო... ასე მალე? — დაიკვნესა ქალმა.

სათვალიანმა უმწეოდ გაასავსავა ხელები და ასისტენტი კაბინეტისკენ წაიყვანა.

მერე ისინი მხარიმხარ იდგნენ და შუქზე სინჯავდნენ ფირს... ფირზე თავის ქალის მიმქრალი კონტურები მოჩანდა.

— ნათხემთან ამჩნევ მცირე ლაქას?.. ეს უკვე მოახლოებული საფრთხის მაუწყებელია, კერა უკვე მოქმედებს და მის წინაამდეგ უძლურია სხივიც და სკალპელიც...

— მეტასტაზი, — დაიკვნესა ქალმა და ულონოდ ჩამოუცვივდა ხელები.

* * *

სოფიტის ნათურების თეთრი ზოლი საგანგაშოდ ციმციმებს...

ეს ზღუდეა. სივრცეში გაწეული სცენის უკიდურესი ზღვარი.... მის მიღმა ბინდში ჩაძირული შფოთიანი სტიქია იწყება — მაყურებელთა დარბაზი...

ყრუდ ჩოჩქოლებს ხალხმრავალი ბინდდაკრული სივრცე...

ჯერ ისევ დუმან საკრავები და უკაცრიელ ფიცარნაგზე გაუბედავი ნაბიჯებით დადის უმწეოდ მხრებჩამოყრილი გოგო...

მებუკენი წვიმის ღრუბელს ბგერების მუხტს უშენენ და დამფრთხალი შოშიები დაფრინავენ ცაში. ყანებშუა დაქნილ ბილიკს ასკინკილა მიუყვება ფეხშიშველა გოგო... ყანა ზავთით უპკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხებს გოგონას მოძახილს, ღელვად მიაქვს ქარში და იწყება სიმღერა ტოროლების მარშით...

გორაკებზე ოქროცოცხას საოცარი ფერი, კორდს ამშვენებს ძეძვიანის ხალები და სატაცურის დუყი.

მინდორს ბოლო არ უჩანს. გოგო კი არ ჩერდება, ახლა ნელა მიდის. და როგორც სველ თავთავებს. ურმიდან დაპნეულებს, მინდვრის ბგერებს კრეფს... სიმღერის ხელეურებს მკერდთან ფრთხილად იხუტებს, ზოგი მწველი მოტივი გულზე ფხებად ჩხვლეტს...

ცხვირისატეხელების სულ პაწია თავშლები, მეწამული გვირისტით ქვენა ქარის ნაკერი. სატევრებად ნაწრთობი სოსნის ლურჯი პრიალი, ზიარებად გაფანტული თავთუნების მტვერი...

ცაში მიაქვს ტოროლას, როგორც წმინდა ხარკი და სიმღერას ველისას ეკვნად ჰკიდებს თაღზე...

მერე ეკვნებს დაარისხებს დელგმა წვიმა, მომსკდარი სოსანისფერ ცაზე, და უკემსავს მსხვილი წვეთებით დამდნარ კაბას გოგოს...

გოგოს ფრთებად გაუშლია ვარდისფერი მკლავები, წვიმის გაბმულ მუსიკას უნდა შეუხამოს მიწიერი ხმები... ჩიტუნები უსხედან გამხდარ, ბავშვურ მხრებზე, გულისპირში უცვივა წვიმით სველი თმა...

უხარია ნარჩიტას, ყურის ბიბილოსთან თეთრ საყურეს უკენკავს, აქეთ უსტვენს წივწივა, გულყვითელა ჩიორებს დაბუდება უნდათ ქარით მერწევ თმაში...

ეს ჩიტები კი არა, სველი მინდვრის ბგერებია, ყვავილების ტოკვისა და ზანზალაკთა ხმები...

დახოცილი ჩიტები, სეტყვით დახოცილები, ესეც წმინდა ხარკია ლამაზი დედამიწის... მას სიკვდილი არ ჰქვია, თუკი გამოიმეტა ჩიტმა, სუსტმა მზეწვიამ თავი ბარტყებისათვის...

* * *

სიმღერის დამთავრება ცის უეცარ გახსნას ჰგავს. დარბაზი ნათდება. აქ და იქ გუნდებად აფრინდებიან თეთრი ფრინველები, მერე სულაც სავსეა ჰაერი მათი ფრთების ლაღი ტლაშუნით... ეს ტაშია.

ფრინველები ფრენენ, ფრენენ და მერე სადღაც სხდებიან. მხოლოდ მათი ნაწილი გადმოიფრენს უშიშრად ნათურების თეთრ ზოლს და იქვე, გოგოს ფეხთით გაბედულად სხდებიან. გოგო კრძალვით თავს უკრავს და ალერსით აპურებს ამ ლამაზ და თვინიერ პაწაწინა ჩიტებს.

კიდევ ელის ვიღაცას, ამ მღელვარე ზღვიდან მერწევ კიბით ამოსულს, ფიცარნაგზე მომავალს თაიგულით ხელში...

ნუთუ სადღაც ჩამორჩა, ნუთუ მხარი ექცა?.. გოგოს ქანცავს, ამწუხრებს მისი მოლოდინი.

კომშისფერი თრთის კაბა, ცეცხლოვანი თმის შულო კვლავაც ტოკავს ქარით, გოგოს ნაზი სილუეტი უსხეულო, უზადო, ღამის თეთრი ლანდი...

ელოდება, ეშინია... შეიცვლება ამინდი და ციცქნა ჩიტებს დაერევა გულბოროტი ქარიშხალი ღამით. გაშლილ ზღვაში გამოსულებს ვინ უშველის გულჩიორებს, იქნებ შორით მომავალი გემი?..

ბრალი მისი, ვისაც მოსვლა ამ ნაპირზე, სიყვარული, სულ პირველად სურდა, ვისაც ბუდის აშენება არა, აღარ დასცალდა...

არასოდეს არ ექნება ოკეანეს ბონდი, დასასრული არ ექნება ჩიტუნების სიკვდილს... მაშ რად უნდა ამ ცისქვეშეთს ცისარტყელას ხიდი?..

ყაყაჩოს ლამპიონებს, ველის სოსნის ანძებს, ყანისპირას მიძინებულ პეპლებს სიო არწევს და ტოკავენ თავთუნები, სტვენენ ძილისპირულს, მთვარე სხივის ძაფით ჰქარგავს ცის შემღვრეულ ფირუზს... მზეს კახეთის ფერთა სითბო პწკლის კალათით მიაქვს, მერე ღამე პეშვით აპნევს მარგალიტებს ცაზე, მათი სხივი გუბურებში და ლურჯ ტბებში ცვივა...

დაისის ნაკვერჩხლები არა, ჯერ არ ჩამქრალა, თეთრ ნისლებად ბოლავს... და წყლის პირას წნორის ქვეშ გადასკვნილან ლანდები... წელსუსტი და კენარი, იქ, მეორე ნაპირზე მარტოდ მოჩანს გოგონა, რაღაცაზე დარდობს...



მანანა ბობოხიძე — ჯილდა დათუაშვილის პორტრეტი.

* * *

ხალხის ტევა არ იყო კონფერენც-დარბაზში. სად იყო ამდენი თეთრი ხალათი, ამდენი სიფაქიზე. ცქრიალა ქალიშვილები, ქოჩორა ვაჟები, წვერმოშვებული მამაკაცები, ხანდაზმულნი თავდავიწყებით უსმენდნენ გოგოს. ის კი მღეროდა თმაგაშლილი, თვალებანთებული და ამ წუთებში მეტისმეტად მომხიბლავი თავისი კამბედაობით... ფრინველივით ლაღად მოძრაობდა და ელექტროტალღებით ეთერში გატყორცნილი მისი ხმა ნაზ თრთოლვად უვლიდა დარბაზს, სუსტად ოხრავდნენ ქალიშვილები, წკრიალებდნენ თეთრი ჭაღები... ტრიალებდა პორბალი და გოგონას სუნთქვასაც კი იწერდა მგრძნობიარე ფირი...

დედის გულიც იწერდა თავის სუსტი გოგონას უკანასკნელ სიმღერას... უკანასკნელ ძახილს. იქვე იჯდა, წინა რიგის განაპირა სკამზე, ფიქრით დამძიმებული, გარეგნულად მშვიდი.

* * *

...წყალწყალებმა ცისფერი წრე შეკრეს გოგოს ირგვლივ, ცრემლად აჩნდათ დილის ნამი ცისფერ ქრიზანთემებს.

გოგონა კი შორს იყო, სიმღერით მიფრინავდა შორი სამხრეთისაკენ. და მოჩანდა ნისლეში კახეთის ვენახები, მტვრიანი შარაგზები, დასიცხული წნორები, სერებშუა გზაწვრილი, მოთამაშე თიკნები და თამბაქოს ყვავილის მძაფრზე მძაფრი სურნელი, ნექტრის თბილი კოლოფი წმინდა ზაფრანისფერი...

...კათედრაზე მელოტი ჩია ტახის კაცი...

ფანჯარასთან მჯდარ გოგოს თვალები ესარკება — ოცნებების გაუხსნელი ზარდახშა აქვს სულში გადამალული. იქ, იმ ზარდახშაში ძვირფას თვლებად აწყვია საყვარელი სამშობლოს ბაღები და ზვრები, ქვა-დუღაბის სახლები, ძველისძველი საყდარი ზედ გასული ბალახით და საფლავის ქვები... მორქენალი ბოჩოლა, ეზოს ღია კარი... ბებოს ალერსიანი თბილი საყვედურები და პაპას უხერხული მოფერება მხარზე, სარზე სველი ჩურჩხელების სატევრების ტრიალი, ზედადგარზე მოჩიფჩიფე ცხელ თათარას ქვაბი... აივნის ძველ ბოძებზე გაკიდული ჯაგნები, ჩირიანი ლასტები და თავკვერის ჩხა...

დედა მყუდრო ოთახში ღიღინით აუთოებს ქალიშვილის კაბებს... მამას ალბათ საწნახელშიც, მაჭრის მღვრიე ნაკადებშიც არ ასვენებს „იმ გოგოზე“ ფიქრი...

სკოლის ეზო. ზარის შემდეგ, მეთორმეტე ზარის შემდეგ, საზეიმო დუმილი. მასწავლებლის სახე. მერე კვამლის დიდი სვეტი, ალიანი კოცონი, შუქიანი ღამე... ლექსები როგორც სუნთქვა ბობოქარი დღეების, ლექსები ვით დაქროლება ხორშაკიანი ქარის...

ლექსები, სიმღერები, ღამის ნაჩურჩულევი, ყვავილებზე ნაპკური, ვით ციური ნამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დარბაზი გუგუნებდა, ტაში აღარ ცხრებოდა, ყვავილებში ჩაფლული ნელა ჩამოდიოდა ვიწრო საფეხურებზე ბედნიერი გოგო. დედა შემოეგება, აკოცა აალებულ ლოყებზე. და დადგა მილოცვების გრძელი რიგი...

— რა კარგია სიცოცხლე, დედი, — უთხრა გოგომ, როცა მარტო დარჩნენ.

* * *

მატარებელი სამხრეთისაკენ მიიკვლევდა გზას. კლებულობდა ნისლები, სინოტივე და სიცივე, ჰაერი შრებოდა, ალერსიანი ხდებოდა...

ვაგონის მონანავე ხმაური ართობდა გოგოს, სარკმლიდან გაჰყურებდა უცხო ქალაქებს და თბილისი ენატრებოდა.

„დამტვერილი შარაგზით შორს მივდივარ დაღლილი... უკან მომდევს, ვერ მწვდება დედის ტკბილი ძახილი", — საიდანღაც აეკვიატა და ველარ მოიშორა ეს სიტყვები...

* * *

კახეთში ატმის ყვავილობა გოგოს აღარ უნახავს.

ხალისიანი დღეები გადამფრენი ფრინველებივით გაიკრიფნენ ოცნების ციდან.

ოთხშაბათი დღე იდგა და გოგო თავის დღიურს წერდა:

„სიკვდილი ავია და უსახური, ფერმიხდილი უკეთური ლაქიები ახვევია — ათასგვარი სენი. ის ერთი მათგანია, გონებას რომ მართმევს... უცბად მავ ფუთაში გამოჰკრავს ხოლმე მზეს და სადღაც მალავს... თურმე სულ აქვე, ცხვირწინ იწყება ცივი წყვდიადი...

ვგრძნობ ეს უსახური წაილებს და აღარ დამიბრუნებს მზეს.

სეტყვისაგან დახოცილი ჩიტუნები დედამიწის უწმინდესი ხარკია, წვიმა მოდის ხოშკაკალა, ვით ცდუნება და სიკვდილი არასოდეს არ ჰქვია...

ჩემი სკოლა. იქ ყოველთვის მზეა და სულ არ იგრძნობა ტკივილი, შიში... მე კი სამუდამოდ გამიხუნდა სასკოლო კაბა და თეთრი წინსაფარი... ყვავილებიდან ძირს დაცვენილი, დახოცილი პეპლები — ჩემი ბაბთები. დამჭკნარი ყაყაჩოს თაველი — ჩემი წითელი ყელსახვევი...

ჩემი დედიკო ალბათ ხშირად იქნება ჩემს საწოლთან,... ჩემი ლოგინი... გულგამოცლილი ოქროცერცვას ჭრელ-ჭრულა ჩენჩო...

ჩემი კაბები აპრილის ცივი ღამეებით მომზრალი ყვავილის უბიწო ფურცლები, ძირს დაცვენილი და ფერწართმეული...

ჩემი ფეხსაცმელები... შიგნით სადაფით დაფერილი ცარიელი ნიჟარები, მათ ველარ გააცოცხლებს ჩემი სხმარტალა ფეხების აწინდელი სითბო...

მე ჩემი სუსტი უღონო მხრებით ციცქნა ჩიტები ვატარე მხოლოდ — ჩემი სიმღერები, მერე უცაბედად წავიფორხილე და ისინიც დამეფანტნენ..

ვკრიფე და ვკრიფე თავთავებად ყოველი ბგერა ფიქრის, ტკივილის, სინანულის და ყველა ერთად... მამულო ჩემო, უკანასკნელ ლოცვად, სიმღერად შენ მოგიტანე ხარკად წმინდა საკურთხეველთან"...

* * *

— რა კარგი ყოფილა სიცოცხლე, დედი... — დაიჩურჩულა თვალებდახუჭულმა.

შორით ნისლით გაჩავებული თეთრი სივრცე მოჩანდა...

მავთულზე შემომსხდარი შეცივნული ჩიტები...

აქა-იქ ცარიელი სკამები: უწყვეტ მწკრივზე მიმოფანტული მაყურებლები თუ მსმენელები...

არა, ჩიტები იყვნენ... შეცივნული უპატრონო ჩიტები... თოვლის ფანტელები აცვიოდათ ჩაქინდრულ თავებზე...

ათოვდა და ათოვდა მავთულს.

მავთული დამსხვილდა, ჯერ კანაფს დაემგვანა, მერე სარეცხის თეთრ თოკს, რომელზეც ჰაწია წინდები და ფერადი ბაჩიები ქანაობდა...

მერე მსხვილ საბელად იქცა, დამძიმდა, დაბლა დაიწია და უცაბედად გაწყდა...

ჩიტუნები არ აფრენილან, ძირს დაცვივდნენ უსიცოცხლოდ და აღარც განძრეულან...

ფიფქები მოზღვავდა და ყველაფერი გაქრა.



# განვლილი გზა

თბილისის ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სამორიგეოში ბავშვთა ოთახის ინსპექტორი მარგო მერაბიშვილი და რამდენიმე თანამშრომელი არასრულწლოვანების დანაშაულებათა საკითხებზე საუბრობდნენ. კარი გაუფრთხილებლად გაიღო და გაფითრებული 15-16 წლის ბიჭი შემოვარდა.

— მიშველეთ, გამძარცვეს... სოფლიდან ჩამოვედი მამიდასთან, პიჯაკის საყიდელი ფული მქონდა, წამართვეს, საათიც ამხსნეს, სამი ბიჭი იყო...

მარგომ უმალ ყურადღება მიაქცია...

— რა გვარის ხარ?

— ქუთელია ზურაბი, მამა არა მყავს, არც მახსოვს, წყალში დამხრჩვალა, დედა გათხოვდა, ბებია მზრდის.

ამ ერთ შეკითხვას ერთად მიაყოლა მთელი თავისი ბიოგრაფია.

— სად გაგძარცვეს? — ისევ შეეკითხა მარგო.

— კინოთეატრ „ნაკადულთან" ვიდექი, ბილეთი ვერ ავიღე და სამნი ამედევნენ, გამძარცვეს და დამემუქრნენ კიდეც...

ერთ-ერთი მილიციის თანამშრომელი საუბარში ჩაერია, მან ბიჭს უნდობლად შეხედა და მარგოს მიუბრუნდა:

— ქალბატონო მარგო, დღეში რამდენი შემოდის — „გამძარცვესო"... თქვენ ჯერათ, რომ გაძარცვეს?

— მჯერა, უყურადღებოდ არ შეიძლება დავტოვოთ. სოფლიდან ჩამოსულა. ეს გულწრფელი აღიარებაა. ეჭვიც არ მეპარება...

ისევე ბიჭს მიუბრუნდა.

— ბიჭები გახსოვს?

— მახსოვს!

მარგომ იქვე შეიმუშავა ოპერატიული გეგმა და ხმამაღლა თქვა:

— ისინი ან ახლომახლო კაფეში იქნებიან, ან ისევ „ნაკადულში".

ბიჭს ხელი ჩაჰკიდა და გავიდნენ.

ქალის ალღო გამართლდა. ბიჭმა კაფეში ვერავინ შეიცნო, შემდეგ ისინი კინოთეატრ „ნაკადულში" მივიდნენ, კარისკაცი გააფრთხილეს და ფარდას ამოეფარნენ. ფილმი რომ დამთავრდა და სინათლე აინთო, ბიჭმა ქურდები შეიცნო და მარგოს წასჩურჩულა: „აი ისინი"... ორი დაიჭირეს, ერთი გაიქცა. მერე ხალხიც მიეშველათ და მილიციის რაიონულ განყოფილებაში მიიყვანეს. იქ კი მათი ამბავი კარგად იცოდნენ. ისინი მანქანების მძარცველები იყვნენ. შემდეგ მესამე წევრიც მალე დააკავეს.

ბავშვს ფული დაუბრუნეს. ამ ოპერატიული მუშაობისათვის მარგომ შინაგან საქმეთა მინისტრის მადლობა მიიღო.

მარგო მერაბიშვილმა თავისი მუშაობის კიდევ ერთი ეპიზოდი გაიხსენა:

— ეს იყო 1944 წელს, ორი ახალგაზრდა დამნაშავე თეჯირს მიღმა იჯდა. ერთი არასრულწლოვანი იყო. დედამისს ჩემთან გასაუბრება სურდა. მე არ მივიღე. შემდეგ როცა ამ ბიჭის შესახებ მონაცემებს ვკითხულობდი, გავიგე, რომ დედას ერთი შვილი სამამულო ომში დაღუპვოდა, მეორეს კი — მე ვაშორებდი ოჯახს... პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, ბიჭი საბოლოო სიტყვას ამბობდა. მან ცრემლების ყლაპვით მითხრა: „თუ მენდობით, ჩემში კიდევ არსებობს ადამიანი, მე ხომ ჯერ 16 წლისა ვარ, იქნებ გასახელოთ, ნუ დამღუპავთ“... დარბაზში სიცილი გაისმა. გული შემეკუმშა. ბიჭი ახლა ხალხს მიუტრიალდა და სთხოვა: „თქვენც გაძლევთ სიტყვას, თქვენც მაპატიეთ“... მე მას პირობითი სასჯელი ვაკმარე.

შემდეგ მარგომ ადრეული წლები გაიხსენა...

ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, წყნეთის სკოლაში მასწავლებლად რომ დამნიშნეს. კლასში შევედი და არავინ დამხვდა. გავვოცდი, რა იქნენ-მეთქი და რას ვხედავ, უცებ მერხებს ქვემოდან ამოძვრნენ. მე გამახსენდა ჩემი კეთილი მასწავლებლის, ვარლამ ძიძიგურის დარიგება და ისე მივიღე ეს ამბავი, ვითომც არაფერი. ჟურნალი გადავშალე და სია მშვიდად ამოვიკითხე. საღამოს ვარლამ ძიძიგურს ვესტუმრე და ჩემს პირველ გაკვეთილზე ვესაუბრე. მან შემათვალიერა, გულიანად გაიცინა და მკითხა — ასე ბაფთით შეხვედი?

— დიახ!

— აი, რატომ იფიქრეს შენთან გახუმრება.

მან ბაფთა მომხსნა, დაწნული თმა მომიგრიხა, სამაგრებით დამიმაგრა და მითხრა: აი, ახლა ნამდვილი მასწავლებელი ხარ. შენ ყველაფერში სამაგალითო უნდა იყო — ჩაცმით, ქცევით, თავშეკავებით... სამუდამოდ დამახსომდა ეს სიტყვები...

მარგომ შემდეგ იურიდიული ცოდნა მიიღო და ლენინის რაიონის მეორე უბნის მოსამართლედ გაამწესეს. მისი პირველი პროცესიც არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა.

— შემოდგომა იდგა. ცრიდა, ფანჯრიდან გაძარცული ხე მოჩანდა. ჩემს გონებაში ის ხე რატომღაც ამ კაცის, პირველი დამნაშავის ბედს შევადარე, ჩემ წინ რომ იჯდა, შემებრალა ინჟინერი, რომელსაც პირადი ცხოვრებაც არეოდა, მაგრამ საკუთარი განცდებისა და ემოციების აყოლის უფლება არ მქონდა. კედელზეც გარკვევით ეწერა: „მოსამართლე მხოლოდ კანონს ემორჩილება“... ხუთი წლის პატიმრობა მივუსაჯე და ~~მაშინ დავრწმუნდი~~, რომ მოსამართლედ არ ვივარგებდი, გონებაში მუდამ დამნაშავის ბედს ვიზიარებდი...

... ამ პროცესიდან 7-8 წლის შემდეგ რაიონში მივემგზავრებოდი. ჩემს კუპეში ჭაღარაშერეული კაცი იჯდა და გამჭოლავად მიმზერდა. შემდეგ დანავლული პაპიროსი საფერფლეზე დადო და შემეკითხა:

— თქვენ მერაბიშვილი ბრძანდებით?

— დიახ!

— მიცანით?

— ვერა!

— მე ის ინჟინერი გახლავართ, თქვენ რომ ხუთი წელი მომისაჯეთ. მაგრამ არ გემდურით. მე მაშინ ვიგრძენი, რომ თქვენ კი არ ზეიმობდით ჩემი დასჯით, პირიქით — გული გტკიოდათ...

დრო გავიდა. მარგომ მოსამართლის პოსტი შეიცვალა და როგორც კომკავშირელმა ქალიშვილმა მობილიზაციით დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საბავშვო ოთახის ინსპექტორად. აქ კი ნამდვილი შემოქმედებითი შრომა დაიწყო. მარგომ ბევრი ახალგაზრდა დააყენა ცხოვრების გზაზე, ბევრს გაუსწორა გამრუდებული ბილიკები.

წლები წლებს მისდევდა. შრომაში გართულს, მოზარდებთან ბედის ჭიდილში შემოაღამდა. შემდეგ რესპუბლიკის ბავშვთა ოთახების უფროსი ინსპექტორი, ამჟამად კი რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ერთადერთი ინსპექტორი ქალია.

... 1976 წელს გიპერტონიული კრიზით დაავადებული მარგო მერაბიშვილის ბინაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა გამოიძახეს. ექიმი თავს ევლებოდა, საათები გადიოდა, და ის კი არ ჩქარობდა, წასვლას არ აპირებდა. როცა მარგო მომჯობინდა და ლაპარაკი შესძლო, მადლიერად შეხედა ექიმს და მადლობა გადაუხადა....

— ქალბატონო მარგო, არ გახსოვართ?

— არა. ვერ მოგიგონეთ!

— მე კი არასოდეს არ დამავიწყდებით, თქვენ იმდენი სიკეთე გაქვთ დათესილი, რომ მე ვერ აგინაზღაურებთ. ობოლს დედობას რომ მიწევდით, სითბოსა და სიკეთეს არ მაკლებდით, მე ის „ბიჭი“ ვარ.

ეს ის „ბიჭი“ იყო, კინოთეატრთან რომ გაძარცვეს.

მარგო მერაბიშვილი ოთხი ათეული წელია მოღვაწეობს. მას უმწიკვლო მუშაობისათვის მრავალი ჯილდო, მედლები, სიგელები, მადლობები — აქვს მიღებული.

ფოტოსურათებს ვეცნობით. ბედნიერია იგი, მომხიბლავი, სახელოვანი შვილები და შვილიშვილები ჰყავს.

მოზარდთა რამდენი გასაჭირი უტარებია გულით, რამდენი ღამე უთენებია სხვის შვილებზე ფიქრით. ყოველ დღეს ახალი საზრუნავ-საფიქრალი მოაქვს. აბა საზრუნავს რა გამოულევს ამ ამაგდარ ქალს!

**დოდო ზურაბიშვილი**

# დედის დაბადების დღე

შვილი და რძალი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გამო ბჭობდნენ.

— ზეგ დედაჩემის დაბადების დღეა, ჩვენ მას საჩუქარი უნდა მივართვათ, — თქვა ვაჟმა.

— მართალია, — დაეთანხმა რძალი, — საწყალი ქალი დილიდან საღამომდე ჩვენ გვემსახურება, ოთახებს ალაგებს, სადილს გვიმზადებს, ბავშვებს მეცადინეობაში ეხმარება, ნამცხვრებს გვიცხობს. ვალდებული ვართ, კარგი საჩუქარი მოვუმზადოთ. მაგრამ არა, ეს არც ისე ადვილი საქმეა, შენ რა გაქვს მხედველობაში?

— იქნებ ზამთრისათვის საპალტოე ქსოვილი გვეყიდა?

— არა, არა, თავისი ზამთრის პალტო ჯერ კიდევ შეიძლება ატაროს.

— მაშინ ბულგარეთის საგზური ვუყიდოთ და დასასვენებლად გავგზავნოთ.

— არა, გზას ცუდად იტანს.

— მაშინ ოქროს სამაჯური ვუყიდოთ.

— სამაჯური? სამაჯურს ხომ თავის კამოდში ჩაკეტავს და ერთხელაც არ გაიკეთებს. ისეთი რამე უნდა შევურჩიოთ, რასაც ყოველდღიურად იხმარს.

— ოო, მომაგონდა, საათი ვუყიდოთ, მე ვიცი, დედას დიდი ხანია საათის ყიდვა უნდა.

— არა, საათს დაკარგავს, როგორც შარშან ქოლგა დაკარგა.

— მაშინ რა, იქნებ კამოდის ლამაზი გადასაფარებელი გვეყიდა.

— პრიმიტიულია!

— რაიმე საინტერესო წიგნი?

— დედა მთელი დღე ისეა გართული საოჯახო საქმეებით, უბრალოდ, დროც არ ექნება მის წასაკითხად.

—ევრიკა, ევრიკა! — რატომ უნდა ვიმტვრიოთ თავი? — უკეთესი არ იქნება, ფული ვაჩუქოთ და რაც სურს, ის იყიდოს?

იმ ფულით, რაც შვილმა და რძალმა მოხუცებულს დაბადების დღეზე აჩუქეს, დედამ საქსოვი ჩხირები და ბავშვებისათვის შოკოლადის ფილები იყიდა.

გერმანულიდან თარგმნა
**ნაზი იმნაიშვილმა**



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შენი ღიმილი

ვინიატურა

ისეთი მშვიდი დღე იყო და უღრუბლო ცა! კაძკაშა, ვარვარა მზე დაჰყურებდა ქვეყანას. ირგვლივ მყუდროება და დუმილი სუფევდა, აი ისეთი ჩვენს სოფელში შუადღისას რომ იცის ხოლმე, სულიერი თუ უსულო ჩრდილს რომ ეფარება და მზეს ემალება.

მე კი ფანჯარასთან ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. აი იმ ფანჯარასთან, ჩვენს სახლს აღმოსავლეთის მხრიდან რომ აქვს. იქ კი იმიტომ ვიჯექი, რომ ვიცოდი, როცა ყველა მწველ მზეს ემალებოდა, სწორედ მაშინ გამოიქროლებდი ველოსიპედით, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე.

ფანჯრის დაბლა, ჩვენი სახლის კედლის ჩრდილში, პატარა გოგო და ბიჭი კენჭობიას თამაშით ერთობოდნენ. მე კი ხან წიგნს ვკითხულობდი, ხან გზას გავყურებდი და შენზე ვფიქრობდი. შენც გამოჩნდი ველოსიპედით, წინ წახრილი მოქროდი, შუბლზე თუშური ქუდი ჩამოგეფხატა. ცალი ხელით ქუდი სწრაფად გადაიწიე, ისევ საჭეს ჩააფრინდი და ფანჯარას ამოჰხედე. მზემოკიდებულმა შუბლმა შემომანათა. არ ვიცი დამინახე თუ არა, მაგრამ თვალებიც გიცინოდა, ტუჩებიც და მთელი სახე ღიმილით გიბრწყინავდა. მაშინ დამინახე, რადგანაც შენი მეგობრები მეტყოდნენ ხოლმე, როცა შენთან არის, მარტო მაშინ იღიმებაო. ფანჯარას რომ ამოჰხედე, სწორედ იმ წუთში წინ ჩოჩორმა გადაგირბინა. უკანა ფეხი გაჰკრა, ველოსიპედი გვერდზე გადაიხარა და კედელს მიეფარა. ფანჯარას მოვწყდი და აივანზე გამოვვარდი. ჩვენი აივანი ხომ გზას გადაჰყურებს, შენ და ველოსიპედი ვეღარ დაგინახეთ, მაგრამ გზაზე მშვიდად მიდიოდა კოკებაკიდებული სახედარი, რომელსაც ცელქი ჩოჩორი გვერდზე ამოსდგომოდა. მოშორებით კი წინდის ქსოვით თეთრმოსახვევიანი პატრონი მისდევდა და ტუქსავდა თუ გადარჩენას ულოცავდა, ვერ გავარჩიე.

ისევ ფანჯარასთან ჩამოვჯექ მოლოდინით აღვსილი. ვიცოდი, კიდევ მობრუნდებოდი. მართლაც უკანვე გამოიქროლე. მე ფანჯარას გადავეყუდე და ბავშვებს ჩავხედე. რაღაცაზე დავობდნენ.

— ჯერ მე! — ჯიუტობდა გოგო.

— არა, ჯერ მე! — წამოიძახა ბიჭმაც და წამოხტა, კატასავით დაიჭიმა. სწორედ ამ დროს გამოჩნდი. თავზე ქუდი შეისწორე და მოსალმების ნიშნად ხელი დამიქნიე. იღიმებოდა შენი თვალები, მთელი სახე და გაპობილ ლამაზ ბაგეებიდან თეთრი კბილები ელავდა. იმ წუთში ჩვენი სახლის ჩრდილიდან მოსწყდა ბიჭი და წინ გადაგირბინა, მას მიჰყვა გოგო და ცოტას გასცდა... ველოსიპედი ჩემკენ სწრაფად მოატრიალე და შემკრთალმა შესძახე:

— ოჰ, შე გასაქრობო!... — კიდეც მიეფარე კედელს. ოჰ, ეს კედელი... რატომ მიშლის, რომ გიყურო დაუსრულებლად!

დაუსრულებლად მინათებდეს შენი ღიმილი, მუდამ მიმზერდეს შენი თვალები. მარადჟამს მახსოვდეს ჩვენი ბავშვობა. მახსოვრობა, ეს გონების ჩირაღდანი, ხომ დროთა მსვლელობაში ვარდისფრად ღებავს ხოლმე ყოველ ამბავს, და ჩვენც მისი მოგონებით ვტკბებით!..

**ქეთევან ხაჩიაშვილი**

## წაუკითხეთ პატარებს

გურამ ორჯონიკიძე

### თამუნა

თამუნია, თამუკელამ
ფისოს კაბა შეუკერა.
კაბა იყო პაწაწინა,
ჩააცვა და დააძინა.

### აშენებენ საქათმესა

ეხა, მესა, მზიან დღესა
აშენებენ საქათმესა.
შიგ მელია შეიპარა,
გაბერტყეს და გააგდესა.

### ვერ მოითმენს ჩიტის გულიც

გული რაა, პაწაწინა,
ვერ მოითმენს ჩიტის გულიც:
— ვისაც დროშად არ ექნება
საქართველოს სიყვარული.

### მზე ჩახჩახებს

ორღობეში ორი გოგო,
სოფლის თვალი — ლალი, თებრო
მოხტუნავენ, იცინიან,
მზეც იცინის ლალისებრო.
სოფელს თავზე დაუხურავს
ცა კრიალა თვალისებრო,
მზე ჩახჩახებს სოფლის გულში
ლალისებრო, ლალისებრო.



ნადია ბერიკელაშვილი

გადაჭიმულ ზვრებში ქარვისფერი სიმწიფე ჩამდგარიყო; შემოდგომის მზე უხვად იმეტებს ბადაგადქცეულ სხივებს. დამკრახულლი მტევნებით მხარდამძიმებული ვაზების მწკრივები ნაირფერი თავსაფრებითაა აფერადებული.

— ეს ჩვენი ყოჩაღი ქალებისაა, — ჩემს გასაგონად თქვა ბრიგადირმა და ხმაში სიამაყე გამოკრთა. — მანამ კრეფენ, სანამ ღამის სიბნელე არ გააშორებს ვაზებს. მოწეული მოსავალი დროზე თუ არ მივიტანეთ მარნამდე, შეიძლება ამინდი შეიცვალოს და...

ძნელმა და ჰირვეულმა წელიწადმა გააფაციცა მევენახეები. ამინდს დაშურებულნი ერთ დღეში ორი-სამი დღის ნორმას ასრულებენ. ჭირნახულის მოვლა-მოყვანისა და აღება-დაბინავების გადამკიდეთ ყველაფერი დაივიწყეს — სახლიც, კარიც, შინა და პირადი საქმეები. კაცებს კიდევ რა უჭირთ, ქალები ჩავარდნენ ცუდ ყოფაში, ოჯახიც წესრიგში უნდა ჰქონდეთ — ბავშვი, სახლი, სადილ-ვახშამი, რეცხვა-კერვა და გარეთაც ტოლი არ დაუდონ არავის შრომაში.

ძნელი ტვირთია ქალობა. მაგრამ ამ ძნელ ტვირთს ის კეთილი ადამიანები ინაწილებენ, რომელთაც ბინა რაიონულ ცენტრში ახალი სტილით ნაგებ მოხდენილ სახლში დაუდევთ;

— ეს ლამაზი კაბა ნინოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავებმა შეუკერეს.

— კაბა რა მიქვია, ქალო, ისეთი საბნები შევაკერინე ჩემი ციალასათვის რომ სულ პრიალ-პრიალი გააქვს, — თქვა ქალარა ქალმა.

— დიდი შეღავათია სწორედ ქალებისათვის ასეთი მომსახურება, იქ რომ მიხვალ ხომ თან გადაგყვებიან, მაგრამ როცა ძალზე მოუცლელნი ვართ, მინდორში და ზვარშიც კი გვეწვევიან ხოლმე, ვის შეკერილს მოუტანენ, ვისგან ახალ შეკვეთას მიიღებენ, ვის შესაკერი ნაჭრების ნიმუშებს აჩვენებენ. რა გასაკვირია მოუცლელობა, საკერავს, სარეცხს, შესაკეთებელს, გასაახლებელს, ცოტა დრო სჭირდება? ჰო, როცა ამ დროს ხელს ვინმე წამოგაშველებს, შეკერილ-შეკეთებულს, შენი გულით არჩეულს

# სილამაზის ოსტატებთან

მოგართმევენ, მადლიერი როგორ არ იქნები!

გურჯაანის რაიონში სხვა მიზნით ჩასულმა მოქმედების პროგრამა შევცვალე და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს ვესტუმრე. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ჰიგიენის სახლში ნაცნობ თვალებსა და ღიმილს წავაწყდი.

...მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი. მეოცნებე ქალიშვილი იყო, პოეზია უყვარდა და ზეპირად იცოდა მრავალი ლექსი. თვითონაც წერდა ლექსებს და მოკრძალებით უკითხავდა ახლო მეგობრებს. ჩემს მეხსიერებას ნადია ბერიკაშვილი პოეზიის მოტრფიალე, დიდი გრძნობებისა და განცდების ქალად შემორჩა.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. საგარეჯოელი ქალიშვილი გურჯაანელების პატარძალი გამხდარა და ახლა, როცა იგი გურჯაანის ჰიგიენის სახლში კოსმეტოლოგის კაბინეტში მოფუსფუსე ამოვაჩინე — მეუცნაურა, ვერ შევუთავსე მისი ძველი გატაცება ახლანდელს. გულით გავიხარეთ ორივემ. ამბავს ამბავი მივაყოლეთ, ბავშვობიდან გამოტოვებული წლები ათასგვარი შეკითხვებით ამოვავსეთ...

კოსმეტიკასაც ბევრი საერთო ჰქონია ფანტაზიასთან. ისიც თავისებური ხელოვნებაა, დახვეწილ გემოვნებასთან შერწყმული. სწორედ მშვენიერებისადმი სწრაფვამ აარჩევინა ნადია ბერიკაშვილს კოსმეტოლოგის პროფესია და ბედნიერად გრძნობს თავს, მასთან სამკურნალოდ მისული ქალი, როცა სახეზე წაშლილ უმნიშვნელო დეფექტსაც კი კმაყოფილებით შეათვალიერებს სარკეში და გაიღიმებს, ეს ღიმილი ნადიას პროფესიული სიამაყით აავსებს. უკვე 11 წელია, გურჯაანის ჰიგიენის სახლში რომ მუშაობს, მის კეთილ საქმეებზე მთავრობის მრავალი ჯილდო — სიგელი, ვიმპელი ლაღადებს.

ნადიას რაიონის გარეთაც იცნობენ. საგანგებოდ შენახულ საქაღალდეში ვნახე მის სახელზე მოსული გულთბილი ბარათები, ზოგი მადლობას უხდის კეთილმომსახურებისათვის, სხვანი კი ხელმადლიან კოსმეტოლოგს რჩევას ეკითხებიან, სთხოვენ გამოცდილების გაზიარებას. ნადიას „ოქროს ხელებსა" და „ოქროს გულზე" ბევრი რამ გამაგონეს მისმა გურჯაანელმა თანამოსაქმეებმაც — ნანული ლუაშვილმა, ნათელა მამიაშვილმა, ლიანა ჯაჯანაშვილმა, ლეილა თარალაშვილმა. რა უხვად გაუცია ამ მშვენიერების მოტრფიალე ქალს თავისი გულის სითბო, ცოდნა. ამიტომაც არის, რომ მისი კოლეგებიც ერთგულ მეგობრად მიიჩნევენ და ამაყობენ კიდეც ამ მეგობრობით.

— ამ სახლში ყველა ჩვენგანი ერთმანეთის პატივისცემითა და სიყვარულით ვსულდგმულობთო, — მითხრა ხელოსანმა დოდო კირვალიძემ. აღარ მიკვირდა ის შინაურული ატმოსფერო, რომელიც ასე თვალნათლივ ჩანდა ჰიგიენის მუშაკებსა და იქ შემოსულ კლიენტებს შორის. ამ სახლის მკვიდრნი მონდომებით ურჩევენ ქალებს თმის ვარცხნილობას. მემანიკიურეები ხინაზეს უბრუნებენ შრომაში გაწაფულ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ზვრებში ნაჯაფი ქალების ხელებს, აქაური მკერავები ხომ რაიონის ქალების სათაყვანოდ გადაქცეულან.

გურჯაანის ჰიგიენის სახლის მთლიანი კომპლექსი მართლაც სილამაზის, სიმშვენიერის სალონია. ამიტომაც არის, რომ აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით საღამოს, როცა მოდიან მინდვრის მშრომელები, მევენახეები. ინტელიგენციის წარმომადგენლები, კურორტ „ახტალის" დამსვენებლები. ვლადივოსტოკელ მშენებელს მარინე მიხაილოვას, მოსკოველ ანა ბატუნკინას სამახსოვრო ჩანაწერებიც კი დაუტოვებიათ შთაბეჭდილებათა წიგნში.

გურჯაანში ქორწილები, დღეობები, ზეიმები ისე როგორ ჩაივლის, თუ საპატარძლოებმა ჯერ სილამაზის სალონში არ მოიწესრიგეს თავი: აქ არ მოიზომეს საქორწინო კაბები, თმებსა და ფრჩხილებს არ მიხედეს, სახე დეკორატიული საცხებით არ შეილამაზეს. ახალსკოლადამთავრებული გოგონები მოკრძალებით შემოაღებენ ჰიგიენის სახლის კარებს, საიდანაც ახალი, უცხო ელფერით მიდიან საზეიმო სუფრაზე.

ხშირად ნახავთ აქ მოწინავე მევენახეს თინა ქიტესაშვილს, შაშიანის მეცხოველეობის ფერმის გამგეს მარიამ წიკლაურს, პენსიონერ მასწავლებელს გალინა ჯორჯაძეს. ვაზისუბნის მეცხოველეობის ფერმის გამგეს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ლენინის ორდენოსან ლენა ჯავახიშვილს დედაქალაქში ისე როგორ გაამგზავრებენ, თუ სილამაზის აქაურმა ოსტატებმა თავიანთი მადლი არ სცხეს.

უანგარო შრომამ, საოცარმა გულისხმიერებამ, უნაკლოდ შესრულებულმა შეკვეთებმა სახელი გაუთქვა გურჯაანის ჰიგიენის სახლის ოსტატებს. აქ წლების განმავლობაში გადაჭარბებით სრულდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები. მათი წვლილი დიდია იმ წარმატებებში, რომლებიც გურჯაანის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ მოიპოვა.

გურჯაანის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დიდმა არმიამ მთელი რაიონის შრომის რიტმს ფეხი აუწყო. ამას ადასტურებს ის სამი გარდამავალი დროშა, რომლებიც გურჯაანის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ უკანასკნელ წლებში მიიღო მიღწეული წარმატებებისათვის. შრომის სწორმა ორგანიზაციამ, საქმის მცოდნე, გამოცდილი ადამიანების მონდომებამ მოუტანა მათ წარმატება. უკანასკნელ ხანს სამმართველოს სპეციალისტთა რიგებს ახალი ნაკადი შეემატა. ახალგაზრდა სპეციალისტები აღჭურვილნი არიან სათანადო ცოდნით, ბევრი მათგანი რესპუბლიკის სპეციალურ ტექნიკუმში დაოსტატდა, ზოგიც აქვე, ადგილზე გამოიზარდა სამმართველოსთან არსებულ ცხრათვიან კურსებზე.

მაგრამ რაიონის სოფლები ჯერჯერობით მთლიანად არ არის დაკომპლექტებული შესაფერი კადრებით; მხოლოდ ჩუმლაყსა და ველისციხეში მუშაობს ქალთა საპარიკმახეროები, ზოგან კი სამკერვალო სახელოსნოს გახსნა ხელოსნების ნაკლებობამ შეაფერხა.

ეს, რა თქმა უნდა, ნაკლია, მაგრამ სახელოსნოებში ახლად მისული სპეციალისტები თუ ისეთივე თავდადებით, ისეთივე გატაცებით იმუშავებენ, როგორც ჰიგიენის სახლის ოსტატები, მაშინ ყველა სოფელს, ყველა ოჯახს მოეფინება კეთილმომსახურების მადლი, რაც ჩვენი სახელოვანი ქალების შუქმფინარ ღიმილს გამოიწვევს.

ამ ღიმილისათვის არაფერი არ უნდა დაიშურონ რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების მესვეურებმა.

შუქურა კოტრიკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სქოლიოზი

ეს დიაგნოზი მშობლებისათვის ხშირად ძალიან მოულოდნელია. ბავშვი ნორმალურად არის განვითარებული, თითქოს ტანწერწეტაც კია. და აი, უეცრად, უფრო მეტად პროფილაქტიკური გასინჯვის დროს, აღმოჩნდება, რომ უყალიბდება დისპასტიური სქოლიოზი — ხერხემლის გვერდზე გადუნვა. სქოლიოზის დროს თითოეული მალა შემობრუნებულია თავისი განივი ღერძის გარშემო (მალების ასეთ მდგომარეობას ტორსია ეწოდება). მინდა დაგიზუსტოთ: ხერხემლის მხოლოდ გვერდზე გადუნვა, ტორსიას გარეშე — სქოლიოზი არ არის; ეს გახლავთ აღნაგობის დარღვევის ერთერთი სახეობა.

დისპლასტიური სქოლიოზი ჩნდება ხერხემლისა და მალათა შორის მდებარე დისკების ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად. ნივთიერებათა ცვლის დარღვევა თანდაყოლილი, მემკვიდრეობითია და მშობლების ბებიებისა და ბაბუებისაგან გადაეცემა.

თავდაპირველად სქოლიოზი შეუმჩნეველია. მისი პირველი დამახასიათებელი ნიშანი — ტორსია — ჩვეულებრივ სამი წლის ასაკში, ხანდახან ცოტა ადრე ან გვიან, 5-6 წლის ასაკამდე, გამოჩნდება ხოლმე, რაც ეტყობა, იმ დატვირთვაზეა დამოკიდებული, რომელსაც სქოლიოზისადმი მიდრეკილი ბავშვის ხერხემალი განიცდის.

ტორსიის, ისე როგორც ადრეული სქოლიოზის სხვა ნიშნების გამოჩენას, როგორიც არის, მაგალითად, ნეკნების ასიმეტრიული გამოზნექვა, მშობლები, როგორც წესი, ვერ ამჩნევენ. ტორსიის აღმოჩენა მხოლოდ ექიმს შეუძლია. ამიტომ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ხშირად მიდიან ორთოპედები, რათა შეუნიშნავი არ დარჩეთ ამა თუ იმ ბავშვის სქოლიოზის დასაწყისი. ის ბავშვი, რომელიც ბაღში არ დადის, პერიოდულად უნდა აჩვენოთ ექიმს. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ პატარებისათვის, რომელთა მშობლებსაც ძვლოვანი სისტემის თანდაყოლილი ესა თუ ის დეფორმაცია აქვთ: მოღრეცილი კისერი, ფეხები, და, რა თქმა უნდა, სქოლიოზი.

თუ სქოლიოზი გამოგვეპარა, იგი ჩვეულებრივ მწვავდება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როცა მკერდის ნაწილია დაზიანებული. პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს გარდამავალ ასაკში. გოგონებს სქოლიოზი 7-8-ჯერ უფრო სწრაფად უვითარდებათ, ვიდრე ბიჭუნებს. ამიტომაც სწორედ გარდამავალ ასაკში ხდება შესამჩნევი, რომ ბავშვს ცალი მხარე მეორეზე მაღალი აქვს, რომ დარღვეულია ბეჭების სიმეტრია, ხოლო წელის ხაზითა და ძირს დაშვებული ხელებით შექმნილი სამკუთხედი ერთი მხრიდან (იქ, სადაც ხერხემალია შედრეკილი) თითქმის არ შეიმჩნევა.

სამწუხაროდ, სქოლიოზის ამ აშკარა ნიშნებსაც მშობლები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ და მათ ყოველთვის არასწორ აღნაგობად მიიჩნევენ, თუმცა, არც ისე დიდიხანია, რაც ბევრი მკვლევარიც კი სქოლიოზსა და არასწორ აღნაგობას, თითქმის აიგივებდა, ხერხემლის გამრუდების პირველ წყაროდ სკოლაში მეცადინეობის დროს ბავშვის სხეულის არასწორ მდგომარეობას მიიჩნევდა. გასულ საუკუნეში ასეთი ტერმინი „სკოლის სქოლიოზიც“ კი გაჩნდა. ახლა, როცა დადგენილია, რომ სქოლიოზის განვითარებას საფუძვლად მემკვიდრეობითი მიდრეკილება უდევს, სკოლას ეს ბრალდება მთლიანად მოეხსნა. მაგრამ ზოგიერთს დღესაც სწამს, რომ სქოლიოზი ეს აღნაგობის დარღვევაა და ცდილობს რაც შეიძლება მეტად დატვირთოს ბავშვი ფიზკულტურითა და სპორტით.

თუ ცუდი აღნაგობა მართლაც შეიძლება მარტო ფიზკულტურული ვარჯიშით გამოსწორდეს, სქოლიოზი ბავშვის ზრდის მთელ პერიოდში სისტემატურ კომპლექსურ მკურნალობას მოითხოვს. ასეთი მკურნალობა მხოლოდ ხელს უშლის პროცესის განვითარებას. მაგრამ ვერ შველის უკვე წარმოქმნილ დეფორმაციას. სქოლიოზის დროს უკუგანვითარება არ ხდება. თავისთავად ცხადია, რომ რაც უფრო ადრე დავიწყებთ მკურნალობას, მით უფრო მეტი შანსი გვექნება თავიდან ავიცილოთ ხერხემლის გამოკვეთილი ფორმები.

კომპლექსური მკურნალობა მეტად ინდივიდუალურად ტარდება. მაგრამ მისი პრინციპები ყველასათვის ერთნაირია. მკურნალობისას მთავარი ადგილი ორთოპედულ რეჟიმს მიეკუთვნება. მისი მიზანია, განტვირთოს ხერხემალი, ესე იგი, იმ მხარეს საითაც იგი გადუნულია, შეამციროს მალათა შორის არსებული დისკების დატვირთვა, და ამით შექმნას ხერხემლის ნორმალურად ზრდის კარგი პირობები. ხერხემალი განიტვირთება, როცა ადამიანი წევს. ამიტომ სქოლიოზით დაავადებულთა სკოლა-ინტერნატში ბავშვები დაწოლილი მეცადინეობენ მათი „მერხია“ მაგარი ტახტი, ძინავთ მაგარ საწოლზე, სქოლიოზით დაავადებულს არ შეიძლება რბილ საწოლში ეძინოს!

ასეთივე ორთოპედიული რეჟიმი ესაჭიროებათ იმ ბავშვებსაც, რომლებიც ამბოლატორიულად მკურნალობენ. მართალია სკოლაში ბავშვი დამჯდარი იმეცადინებს, მაგრამ საშინაო დავალება კი სწორ მაგარ საწოლზე უნდა შეასრულოს. წერითი დავალება — მუცელზე მწოლარემ, მკერდქვეშ ამოდებული მაგარი ბალიშით, ზეპირი კი — ზურგზე გადმობრუნებულმა.

სკოლაში მეცადინეობის დროსაც ბავშვის ხერხემალი დატვირთული არ უნდა იყოს. მერხთან არასწორად ჯდომა სქოლიოზს რომ არ იწვევს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი ხელს არ უწყობს პათოლოგიური პროცესების წინსვლას.

ბავშვი რომ სწორედ იჯდეს, ფეხებით ეყრდნობოდეს იატაკს და მოხრილ მუხლებთან და თეძო-მენჯთან სწორი კუთხე კეთდებოდეს, საჭიროა შეირჩეს მისი სიმაღლის შესაფერი მერხი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება ხერხემალს ნორმალური დატვირთვა.

ბევრი ბავშვი მის შესატყვის მერხზე ჯდომისას ვერ ახერხებს ხერხემლის სწორად დაჭერას. ეს იმიტომ რომ მათ სუსტად აქვთ განვითარებული კუნთური სისტემა და ყოვლად უნაყოფოა ყოველ წუთს მოგონება „იჯექი სწორედო“, ბავშვი გასწორდება, მაგრამ მალე, მოიხრება, ისე დაჯდება, როგორც მისთვის არის მოსახერხებელი. კუნთების გასამაგრებლად სისტემატური ვარჯიშია საჭირო.

სქოლიოზის შესაჩერებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამკურნალო ვარჯიშს, ცურვას, თხილამურებით სიარულს, თბილ პროცედურებსა და დაზელვას. ყოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხელს უწყობს ძვლისა და კუნთების ქსოვილების კვებას, ორგანიზმის გაკაჟებას. ექიმი, ავადმყოფი ბავშვის კუნთოვანი სისტემის გამძლეობის მიხედვით, მკაცრად არჩევს ფიზიკურ დატვირთვას. თორემ, თუ ასე არა, შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი მივიღოთ. ორგანიზმი ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, მოხდება საერთო გადაღლა, რის შედეგადაც ხერხემალი კიდევ უფრო გამრუდდება.

ფიზიკური ვარჯიშები და ცურვის სტილიც კი სასურველია ხერხემლის გამრუდების ხარისხის მიხედვით შეირჩეს. ასე, მაგალითად, ბრტყელი ზურგის შემთხვევაში ვურჩევთ „ბატერფლაის“ სტილით ცურვას, მკერდის ნაწილის მოხრილობისას — ზურგზე ცურვას. ბრასით ცურვის ნება ეძლევათ მხოლოდ მათ, ვისაც დარღვეული არა აქვს ხერხემლის ფიზიოლოგიური ხვეულები (შეწეული ნაწილები).

ხერხემლის გამრუდება სქოლიოზის ერთ-ერთი მთავარი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთადერთი გამოვლენა არ არის. ამ დროს შესაძლოა, მაგალითად, ფილტვების ვენტილაციის მოშლილობა, რის შედეგადაც მცირდება სისხლში ჟანგბადის რაოდენობა, უარესდება ნივთიერებათა ცვლა. ამიტომ საერთო გამაკაჟებელ მკურნალობასთან ერთად კარგია ჰაერის რაციონალური რეჟიმი.

სქოლიოზიანი ბავშვი, რაც შეიძლება დიდხანს უნდა იყოს ჰაერზე. აუცილებელია შენობის კარგად განიავება. ღამე ბავშვს ღია სარკმლიან ოთახში უნდა ეძინოს.

ბავშვისთვის განსაკუთრებული კვება საჭირო არ არის. ისე უნდა იკვებოს, როგორც ყველა მისი ჯანმრთელი თანატოლი იკვებება. აუცილებელია დღეში 100 გრამი ცხოველური წარმოშობის ცილები. ახალი ხილი და ბოსტნეული — ვიტამინებისა და მინერალური მარილების ძირითადი წყარო.

სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა სქოლიოზის გამკლავება ჩვეულებრივი თერაპევტიული მეთოდებით შეუძლებელია და საჭირო ხდება მივმართოთ ქირურგს. ოპერაციები ორ ეტაპად კეთდება. ეს არის რთული ოპერაციები, მაგრამ, როგორც წესი, აჩერებს დეფორმაციის განვითარებას. ბევრი მშობელი, კონსერვატული მკურნალობის იმედით, ყოველთვის როდი თანხმდება ოპერაციაზე. სხვათა შორის კი ოპერაციის გაკეთება მანამდეა საჭირო, ვიდრე დაავადება შორს არ არის წასული.

თუ სქოლიოზი დროულადაა გამოვლენილი და საჭირო მკურნალობა დროზეა ჩატარებული — თერაპიული იქნება ეს თუ ქირურგიული, უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ჯანმრთელ ადამიანს აღვზრდით, რომელიც ნებისმიერ პროფესიას აირჩევს.

**ი. ი. კონი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.
ჟურნალი „ზდოროვიე“.

## ნეგატიურ მოვლენებს — დაუნდობელი ბრძოლა

# სიყვარული ანგარებით

მკითხველს ალბათ გაუკვირდება ამ წერილის სათაური — სად სიყვარული და სად ანგარებაო. სიყვარული ხომ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის უმაღლესი ფორმაა და რა ანგარებაზე შეიძლება აქ ლაპარაკიო... სამწუხაროდ, ჩვენ შორის ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთა მორალური სახე საზოგადოებრივ ეთიკურ ნორმებს სცილდება და მათ სიყვარული გამოძალვის საშუალებად მიაჩნიათ.

როდესაც თინათინ ქარციძის სისხლის სამართლის საქმეს გავეცანით, გავვოცდით, რამ უბიძგა 23 წლის ქალს ჩაედინა მძიმე დანაშაული და გაეფლანგა სახელმწიფო ქონება?

თინათინმა საშუალო სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობაში მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა. ორი თვის შემდეგ, კოლმეურნეობის გამგეობის რეკომენდაციით, მას სოფლის მაღაზია ჩააბარეს, რომლის გამგე-გამყიდველიც თვითონვე იყო.

ჯარასავით დატრიალდა ქალიშვილი, დააწკრიალა, წესრიგში მოიყვანა მაღაზია. ვიტრინები შნოიანად გააწყო. შემდეგ რაიონული სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობას ეწვია, მომხმარებელთა სურვილები გააცნო. გამგეობის წევრებმაც ყურადღეს ახალგაზრდა მუშაკის მოთხოვნები და მაღაზიას დიდძალი სამრეწველო და სხვა სახეობის საქონელი გამოუყვეს.

თინათინმა მომხმარებელთა მოთხოვნებისა და შეკვეთის ჟურნალიც შემოიღო, შეხვედრაც მოაწყო მათთან და სურვილებიც გაითვალისწინა. ერთი სიტყვით, თანასოფლელები კმაყოფილი იყვნენ.

— ცეცხლივით გოგონაა ჩვენი თინა, კარგ ვაჟკაცს ტოლს არ დაუდებს...

— ახლა კი დროა, გულისსწორზე იზრუნოს.

— აკი ჰყავს კიდეც, ჩვენი იროდიონის ბიჭი, სოსიკა კეჭეყმაძე.

— ის ქარაქუცა და უსაქმური? ჭრელაჭრულა ტანსაცმელს რომ იცვამს, სიმონიკა მღვდელივით რომ მოუშვია თმა და საჟურთხობელასავით დააბიჯებს სოფელში? აფსუს, არა, არა, მაგ გოგოს ის ბიჭი არ გამოადგება...

— ასე კია და... — საუბრობდნენ მაღაზიის წინ ჩამომსხდარი კოლმეურნეები.

მართლაც ასე იყო. თინას დიდი ხანია გული შევარდნოდა სოსიკაზე. ვაჟიც გრძნობდა ქალიშვილის ნაზ, დაბინდულ გამოხედვას; თვითონაც არ იყო გულგრილი... დღე ისე არ გავიდოდა, რომ სოსიკა შექეიფიანებულ ძმაკაცებთან ერთად თინას არ გამოცხადებოდა. თუ მაღაზიაში მყიდველები იყვნენ, სოსიკა იქაურობას გაეცლებოდა და იქვე მაღაზიის წინ გამვლელ-გამომვლელთან მასლაათობდა, ხოლო როცა შებინდდებოდა და თინათინი მაღაზიას დაკეტავდა, სოსიკა თვალს ჩაუკრავდა თავის ამქრებს და ისინიც გაილალებოდნენ, ვაჟსა და ქალიშვილს მარტოს ტოვებდნენ.

...სოსიკა თინათინს შინ მიაცილებდა და გზაში შელამაზებულად ათასგვარ ამბავს უყვებოდა...

— იცი რა გითხრა, თინიკო, თუ მიზნისაკენ გაგიწევია და გზად ხშირ-ხშირად ჩერდები, ქვას ესვრი ყოველ ძაღლს, რომელიც შემოგიყეფს, მაშინ მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწევ. ჰოდა, მეცა მაქვს ერთი მიზანი, უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა და კიდევ იცი რა — ვაჟმა ქალიშვილს ხელი დაუჭირა.

— რა? — თითქოს რაღაც წინათგრძნობა აქვსო, ჩუმი ათრთოლებული ხმით წარმოთქვა თინამ.

— ჩემი უნდა გახდე, — მე ვისწავლი, შენც სწავლას განაგრძობ, უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია...

ქალიშვილი ცახცახებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— რა ვიცი... შენზე ამბობენ...

— ჰო, თქვი, თქვი რას ამბობენ?

— შრომა არ უყვარსო და რა ვიცი კიდევ რას არა... — ძლივს გაბედა შეცბუნებულმა თინამ.

— სოფელს პირს ვინ აუკრავს, ბრძენს უთქვამს: ნამდვილი შეცდომები ის შეცდომებია, რომლებიც არ სწორდება. შეცდომები ალბათ მეც მქონდა (სოსიკამ გამომცდელად გადახედა თავდახრილ ქალიშვილს), მერე რა, ახალგაზრდობით შეცდომა ვის არ მოსვლია და მე რა ისეთი გამოუსწორებელი ვინმე ვარ? — ყმაწვილის ხმაში სინანული იგრძნობოდა.

თინა სწრაფად გამოეთხოვა სოსიკას და შინისაკენ გასწია.

ვაჟი ერთხანს იქედნური ღიმილით გაჰყურებდა ქალიშვილს და მერე, ვითომც აქ არაფერიაო, სტვენა-სტვენით გაუყვა სოფლის გზას.

უქმი და უდარდელი ცხოვრება არ შეიძლება წმინდა იყოს. სოსიკას კი სწორედ უშრომლად, მოჩვენებითი სიყვარულით უნდოდა მოეხიბლა საქმიანი გოგონა, თავის კლანჭებში მოექცია და შემდეგ როგორც სურდა, ისე ემოქმედა.

ერთ დღეს სოსიკა დაღვრემილი შევიდა მაღაზიაში. მის დანახვაზე ქალიშვილს გულმა რეჩხი უყო. რაღაც ამბავია მაგის თავს, — გაიფიქრა. მაღაზიაში შესული მყიდველები სწრაფად გაისტუმრა და ვაჟს შიშნარევი ხმით ჰკითხა:

— სოსიკა, რა იყო, რაღაც უგუნებოდ ხარ.

— ჰო, არაფერი, ჩემ საქმეს მოევლება... მე შენი ამბის გასაგებად მოვედი, როგორა ხარ?

— მითხარი რა მოხდა, ხომ არაფერი შეგემთხვა, — ქალიშვილი შეშფოთებული შესცქეროდა ვაჟს.

„ბიჭოს, ხედავ ჩემდამი სიყვარულის ალი მართლაც რომ ძლიერ მოსდებია, მით უკეთესი, ახლა მე მიყუროს“, ცინიკურად გაიფიქრა სოსიკამ, არაფერი არ შეიმჩნია და კვლავ ნაღვლიანი კილოთი განაგრძო:

— რას იზამ, ხანდახან ასეც ხდება, თუმცა შენთან დასამალი რა მაქვს, თბილისში უნდა წავსულიყავი, საბუთები შემეტანა ინსტიტუტში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ველარ მივდივარ.

— რა მიზეზებია, არ მეტყვი? კაცმა რომ გკითხოს, შენთან დასამალი არაფერი მაქვსო? — თინათინი საყვედურით შეაცქერდა ვაჟს.

— გეტყვი, რატომაც არ გეტყვი, — თბილისში წასასვლელი ფული, 200 მანეთი, მამაჩემმა ადრიანად მომცა, მაგრამ ჩემს მეგობარ ნუგზარ ტოროშელიძეს ავტომანქანის საყიდლად ფული დააკლდა და მე დამესესხა. უარს ხომ ვერ ვეტყოდი, ხომ გაგიგონია, მეგობარი ჭირში იცნობაო...

— სოსიკა, შენ ნუ ჯავრობ, გამოსავალი არის. — ქალიშვილს უცებ სახე გაუბრწყინდა.

— როგორ?

— როგორ და 200 მანეთს მაღაზიის ნაჭრიდან მოგცემ, შენ ოღონდ ინსტიტუტში საბუთების შეტანა არ დააგვიანო.

— რას ამბობ, თინა, მაღაზიის ფულს როგორ გამოგართმევ, რევიზორები რომ მოვიდნენ და შენ დაგსაჯონ, მერე მე რა მეშველება, თუმცა საშიში რაა, ამ ფულს სულ მალე დაგიბრუნებ.

თინათინმა დახლის უჯრა გამოაღო, 200 მანეთი გადათვალა და სოსიკას კმაყოფილი სახით გაუწოდა...

სოსიკა მართლაც წავიდა თბილისში, თან თავისი განუყრელი თანასოფლელი მეგობარი ვაჟა მენაბდე წაიყვანა. მეგობრები ერთ კვირას დარჩნენ ქალაქში...

— ყველაფერი კავიგე საბუთების შეტანა ჯერ არ დაწყებულა. ნაცნობებიც გამოვძებნე. ასე რომ, საქმე კარგად იქნება. მართლა, შენს 200 მანეთს ამ დღეებში დაგიბრუნებ.

— არ მოგერიდოს, ოღონდაც სწავლა განაგრძე და არაფერს დავიშურებ შენთვის, — მორცხვად ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და ვაჟს თვალები გაუსწორა.

ამის შემდეგ, რომ იტყვიან, მადა გაეხსნა სოსიკას. ჯერ იყო და, თითქოს დედის ავადმყოფობისათვის 1600 მანეთი სჭირდებოდა, შემდეგ კვლავ თბილისში წასასვლელად — 450 მანეთი, და ეს ფულები „სესხის“ სახით თინათინს გამოართვა მაღაზიის ნავაჭრი თანხიდან. გარდა ამისა, 100, 50 მანეთს თითქმის სისტემატურად ართმევდა ქალიშვილს, სამაგიეროდ სოსიკას სახელდახელოდ გახსნილ ვალის აღსანიშნავ ჟურნალში ზუსტად შეჰქონდა დანახარჯი. ასე „ასესხა“ თინათინმა თავის „გულისწორს“ მაღაზიის ნავაჭრი, სახელმწიფოს თანხა 4700 მანეთი.

და აი, ერთ დღეს მაღაზიას რევიზორები ეწვიენ და დანაკლისი 4700 მანეთი გამოავლინეს. ამ დროს სოსიკა სოფლიდან გადაიკარგა და მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა, როდესაც თინათინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მან დანაკლისი ნათესავებსა და კეთილ მეზობლებში შეგროვილი ფულით დაფარა, მაგრამ სასამართლოს წინაშე მაინც წარდგა.

თინათინი სასამართლოზე არ ყოფილა გულწრფელი. დანაშაული მთლიანად თავის თავზე აიღო, არ დაასახელა მიზეზი, თუ რამ მიიყვანა დანაშაულამდე. იგი მორცხვად იფარებდა ხელს წამოზრდილ მუცელზე, თითქოსდა თავისი მომავალი პირმშოს მამის — სოსიკა კეჭეყმაძის ღირსებას იცავდა. თვითონ სოსიკა კი, ის, ვინც დანაშაულისაკენ უბიძგა ქალიშვილს, სასამართლო პროცესს არ ესწრებოდა...

ქალ-ვაჟის ნამდვილ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ. დაე, ჟურნალის მკითხველმა მკაცრი განსჯისა და განხილვის ღირსად აქციოს აქ მოთხრობილი ამბავი.

**ზაალ მესენგისერი,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.**





# წილკნელი მასწავლებელი

**1917** წელს სოფელ წილკანში მასწავლებელი ჩამოვიდა. ეს გახლდათ თბილისის ეპარქიალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ნადია ჩილინდრიშვილი. მან მშობლიური სოფლის ორკლასიანი სკოლის მასწავლებლობაზე უარი არ თქვა და პატარა თანასოფლელებს ცოდნის კარი გაუღო.

გაკვეთილები მძიმე პირობებში ტარდებოდა. სკოლა ქოხში იყო გახსნილი, სადაც არავითარი სასკოლო ნივთები არ ეწყო. ამიტომ თითო-ოროლა მოსწავლე თუ შეაღებდა სკოლის კარს. ჩაუცმელი და მშიერი ბავშვები სწავლას გაურბოდნენ. ახალბედა მასწავლებელს დიდ შრომად უჯდებოდა თითოეული მოსწავლის მიზიდვა. იგი ოჯახებში დადიოდა, ესაუბრებოდა გლეხებს, ურჩევდა შვილები სკოლაში გაეგზავნა და სიბნელიდან გამოეყვანათ.

მასწავლებლის ამგვარმა დაჟინებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, სკოლაში მოსწავლეთა რიცხვმა იმატა და ნადიაც ხალისით ასწავლიდა მათ.

იმ დროს სოფელში იშვიათად ნახავდით წერა-კითხვის მცოდნე გლეხს. ნადიამ სწავლის მსურველებისათვის საღამოს სკოლა გახსნა და გლეხებს „დედა ენა“ გადაუშალა. მას სოფელში უკვე თვლიდნენ ბავშვებისა და მათი მშობლების მასწავლებლად. რაკი გლეხებმა მასწავლებელი მზრუნველ და გულისხმიერ ადამიანად შეიცნეს, უფრო დაუახლოვდნენ და გულახდილად უმხელდნენ ფიქრსა და ჭირ-ვარამს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქართველოში მშრომელთა რევოლუციური გამოსვლები გახშირდა. ამ ბრძოლებს ნაცადი ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ეწყობოდა საერთო კრებები, მიტინგები და გაფიცვები.

**1918** წელს მშრომელთა მასობრივი რევოლუციური გამოსვლები დუშეთის მაზრაშიც დაიწყო. ხალხის აბობოქრებამ გან-

საკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სოფელ წილკანში. 17 ივნისს მენშევიკი გვარდიელები წილკნელების „დასაწყნარებლად“ დედაქალაქიდან დაიძრნენ და თან ტყვიამფრქვევიც წაიღეს. გლეხები არ დაბნეულან, გაერთიანებული ძალით ეკვეთნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს და ხელჩართული ბრძოლების შემდეგ შეძლეს, რომ მტრისთვის იარაღი დაეყრევინებინათ. ეს ფაქტი დუშეთის მაზრის აჯანყების სიგნალი გახდა. აჯანყებულმა გლეხებმა პარტიული მუშაკების დახმარებით საბრძოლო მოქმედების ოპერატიული გეგმა შეიმუშავეს და გადამწყვეტი შეტევისათვის მოემზადნენ.

მასწავლებელ ნადია ჩილინდრიშვილის ბინა თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხების თავშეყრის ადგილად იქცა. იქ იმართებოდა გულახდილი საუბარი, თუ რა გზით უნდა დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. ყოველთვის, როცა კი მასწავლებლის ბინაში თათბირი მიმდინარეობდა, ნადიას მამა და ძმა შენობას გარედან ყარაულობდნენ. ერთ დღეს სოფლის მამასახლისმა მკაცრად გააფრთხილა ნადია, შენთან თურმე გლეხები იკრიბებიან და რაღაცას თათბირობენ, გირჩევნია ჭკვიანად იყო, თორემ თავს დაიღუპავო!

— ჩემთან მოსულ გლეხებს სწავლა-განათლებაზე ვესაუბრები და ამას ვინ ამიკრძალავსო, — თამამად უპასუხა ნადიამ და ნაძალადევად გაიღიმა.

— ჰოდა, ფრთხილად, იყავი, თორემ ხომ იცი, ახლა რა დროა! — დაუმატა თავის ქნევით მამასახლისმა და გაცილდა.

ცნობილმა ბოლშევიკმა საშა გეგეჭკორმა წილკანში გლეხების დასარაზმავად უშიშარი ვაჟკაცი მიხა პაპუნაშვილი გაგზავნა. იგი ნადიას ბინაში დაბინავდა და გლეხების საბრძოლველად მომზადებას შეუდგა. მიხა გატაცებით ესაუბრებოდა მათ ოქტომბრის რევოლუციასა და მის მნიშვნელობაზე, ლენინსა და სტალინზე, მათს მიზნებზე. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მ. პაპუნაშვილი ვლადიკავკავში გაემგზავრა, მენშევიკებმა ის ყაზბეგში დააკავეს და დახვრიტეს.

წილკნელ გლეხებს მხარში ამოუდგნენ მეზობელი სოფლების შვილებიც და მენშევიკებს გაერთიანებული ძალით შეუტიეს.

სულ მოკლე ხანში დუშეთისაკენ მენშევიკ გვარდიელთა დიდი ჯარი დაიძრა, გლეხებმა ვერ შეძლეს შეიარაღებული ჭარბი ძალების მოგერიება, უკან დაიხიეს, და დამარცხდნენ.

მენშევიკებმა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის სულისკვეთება ვერ გატეხეს. რევოლუციონერები კვლავ განაგრძობდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას და გაიმარჯვეს კიდეც.

მათ შორის იყო წილკნელი მასწავლებელი ნადია ჩილინდრიშვილიც.

 შ. მარკოზაშვილი

სარედაქციო ფოსტიდან



შვილები მოვალენი არიან ზრუნავდნენ მშობლებისათვის და ეხმარებოდნენ მათ.

(სსრ კავშირის კონსტიტუციის 66-ე მუხლი)

# შვილიშვილი

მთელი ღამე არ სძინებია ბებია სალომეს. წევს სიცხით გათანგული, წელთა სიმრავლითა და ავადმყოფობით დამძიმებული და გათენებას ელოდება... ყოველ დილას მასთან ჩადის მისი თვალისჩინი, სიცოცხლის მომნიჭებელი...

აი ახლაც, ინათა თუ არა, ფეხის ხმა გაისმა. ასმათი ბებიასთან გაჩნდა, მიუალერსა, ხელ-პირი დაბანინა, ჩაი გაუმზადა, მაგრამ მოხუცს ხელიც არ უხლია — ალმური ასდიოდა.

ბავშვი უმალ გამობრუნდა და კიბეები აირბინა. სულს ძლივს ითქვამდა. დედასთან მიიჭრა.

— დედა, ბებია ავად არის...

— იჩქარე, ასმათ, სკოლაში გიგვიანდება...

სალომე კი წევს ცისანაბარა საკუთარ ფიქრებთან, დიდ დარდთან განმარტოებული, აგონდება განვლილი დღეები, მრავალი ბედნიერი ახალი წელი. დრომ წაიღო ყველაფერი... ახლა, ვინ იცის მერამდენედ გულდაწყვეტილი ისმენს რძლის საყვედურებს — ამჯერად, რომელიღაც მეზობელს რომ უყვება, როგორ „გაუმწარა დედამთილმა სიცოცხლე“, აურია ოჯახი...

ამაგდარ ადამიანს გული ეწურება... ქვრივ-ობლობაში, გაჭირვებით აღზარდა, დააოჯახა, დაასახლკარა ოთხი შვილი. მაგრამ ავბედითი ომი მათაც რისხვად დაატყდათ თავს. უფროსი ვაჟები შინ ველარ დაბრუნდნენ, ქალიშვილი გათხოვდა და სალომე უმცროს ვაჟთან დარჩა. მშობლისადმი ვაჟის ზრუნვა და ყურადღება იმით გამოიხატება, რომ სამსახურიდან დაბრუნებული „მოუცლელი“, ცოლისაგან იგებს დედის ჯანმრთელობის ამბავს.

ვინ იცის მოხუცს იქნებ მართლაც მიუძღვის ბრალი შვილისა და რძლის წინაშე... სალომე ფიქრებში იძირება, მაგრამ არაფერი აგონდება, ჩვეულებრივი, დედაშვილური დარიგებების გარდა. როცა ჯანი ერჩოდა, ყველას ეხმარებოდა, ობოლი შვილიშვილებიც მისი მზრუნველობით გაიზარდნენ. ჰოდა, ახლა მასაც სჭირდება ყურადღება... ეს ერთი ციდა გოგო — თვალხატულა ასმათია მისი მომკითხავი, მზე და სითბო რომ შემოაქვს მის ჯურღმულში. მოხუცს თითქოს ესმის, შვილიშვილის ყოველი ვიზიტის შემდეგ გაბრაზებული ჩურჩული, ტუქსვა რომ იწყება ზემო სართულში.

...ახლაც, დილაადრიან ჩამოაკითხა ასმათმა და დაინახა, რომ ბებია ვერ იყო კარგად. შეებრალა მოხუცი.

— რა გტკივა, ხომ არ გშიაო, — ჰკითხა. მწოლიარემ მადლიერებით ხელი ხელზე მოუჭირა პატარას. ერთხანს თვალცრემლიანი იდგა გოგონა, ეტყობოდა მისი პაწია გონება რაღაც დიდ გადაწყვეტილებას იღებდა. უცბათ უხმოდ მოსწყდა ადგილიდან და დედასთან მიიჭრა.

— სად იყავი, მეგონა გეძინა, — შეაგება დედამ.

— არა, დედა, ბებია ისევ ავად არის, ცხელი საჭმელი უნდა მივუტანო...

— დაჯექი და ისაუზმე, სკოლაში არ დაიგვიანო!

— არა, არც ახლა, არც არასდროს არაფერს არ შევჭამ, თუ ბებიას ზემოთ არ ამოიყვანთ საცხოვრებლად და ახალ წელს ჩვენთან არ გაათენებს, — ჯიუტად თქვა გოგონამ და აქვითინდა.

გაკვირვებული შესცქეროდა დედა თორმეტიოდე წლის შვილს, რომელიც გამეხებული იჯდა მაგიდასთან და ხელს არაფერს აკარებდა, შეეცადა გადაეფიქრებინა მისთვის „სულელური“ ჩანაფიქრი, მაგრამ ამაოდ.

მამამ გაიგო გოგონას განრისხების ამბავი. და გაუკვირდა! „ნუთუ დედაჩემს რაიმე აკლია? ხომ ყველაფრით სავსეა ოჯახი!“.. ამჯერად იკადრა დაბლა სართულში ჩაბრძანება. მშობლის სასთუმალთან ჭიქა ჩაი გაციებული, ხელუხლებელი იდგა. შეცბა ვაჟკაცი. მოხუცის თვალები კი სევდასა და სიხარულს ერთად გამოხატავდა. „როგორა ხარ, შვილო?“ — მოიკითხა დედამ საქციელწამხდარი შვილი... იგი საპასუხოდ სიტყვას ვერ ძრავდა. ანდა რა ჰქონდა სათქმელი.

...ისევ შემობრძანდა ახალი წელი. ოჯახის სხვა წევრებთან ერთად სალომესაც ეწვია იგი, მაგრამ არა ჯურღმულში... გოგონამ დაჯაბნა გულქვა მშობლები. ახლა მოხუცი ყველაზე ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგანაც განმარტოებული აღარ იყო..

ეთერ მამალაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო



ფოსტიდან

# ერთი შვილი — არა შვილი

ეზოში შუახნის თმადათოვლილი ქალი ფუსფუსებს, ყვავილებს მარგლავს, ვარდებს სხლავს... არ იკითხავთ რამდენი ყვავილია, რანაირი, სადაური!.. ყველა მისი ხელით არის გამოყვანილი, მისი შრომითა და გარჯით არის შექმნილი...

დედაქალს უხარია, როცა მისი ერთადერთი დავაჟკაცებული ვაჟი (ცალკე ცხოვრობს), რომ მოდის და ამ ლამაზ ეზო-კარში ხარობს. მას უცებ გაახსენდა, ბიჭმა, თქვა, ამაღამ მოვალ და აქ დავრჩებიო. ქალი აჩქარდა, შვილის საყვარელი საჭმელები მოამზადა. ამასობაში დაღამდა კიდეც. უკვე თერთმეტი საათია, ის კი ჯერ არა ჩანს, თორმეტიც რეკავს და კიდევ არ გამოჩენილა...

დედის გულში ფიქრების ზღვა აბობოქრდა. ათასი რამე იფიქრა. მანქანით არის, ნასვამია... ვინ იცის რა ხდება... ღამის პირველი საათია. რა დააძინებს დედას, ტახტზე ჩაცმული წვება. არა, ვერ ისვენებს, ათასი ნემსი ჩხვლეტავს და გულში ჩაქუჩივით ურტყამს.

ღამის ორი საათია. ქალი შიშმა ისე მოიცვა, რომ ლამის იყვიროს. უცებ წამოხტა, ფანჯარა გამოაღო, უნდა რომ ხმამაღლა დაიძახოს: „ვაიმე, ხალხო, ავარია ხომ არ მომხდარა... მიშველეთ, ერთადერთი შვილი გადამირჩინეთ“. მერე ისევ ამოიგმინა და წამოწვა, მაგრამ არა, უფლება არა აქვს ერთი შვილის დედამ დაიძინოს! ერთი შვილი, ერთადერთი ნუგეში! რა ბედნიერია ბევრი შვილების დედა... რა ბედნიერი!.. მაგრამ ყველა შვილისთვის ხომ ერთნაირად შესტკივა დედას გული...

არა, სიმართლე ვთქვათ: ერთი შვილის დედა ნამდვილად ცოდვაა... ყოველთვის ეუბნებოდნენ, ერთი შვილის დედა წყალში ჩამყურეა, მაგრამ რა გვიან მიხვდა ამას!

ხალხო, ყველამ გაიგეთ, რომ ეს ნათქვამი მართალი ყოფილა და ვიდრე გვიანი არ არის, გაიგეთ, გაიგეთ, რომ ერთი შვილი მხოლოდ ტანჯვაა დედისთვისაც და შვილისთვისაც.

სამი საათი დაიწყო, როცა მანქანა ჭიშკარს მოადგა. შვილმა ფრთხილად გააღო კარი, უხმაუროდ შეიყვანა მანქანა ეზოში, ფეხაკრეფით აირბინა კიბე და საწოლ ოთახში შევიდა. სინათლე აანთო, მერე ჩააქრო. დედა სამზარეულოს ჩაბნელებული ფანჯრიდან უყურებს და ელოდება, როდის დაწვება შვილი. იცის, რომ ნასვამია და ადვილად ვერ დაიძინებს, ჯერ აქეთ-იქით იბორიალებს. მართლაც, სინათლე ისევ აინთო, ბიჭი სამზარეულოში შევიდა და რას ხედავს, დედა კუთხეში დგას და ტირის. ბიჭი შეკრთა...

— დედა, მაპატიე, რატომ არ გძინავს, დამიგვიანდა, ცოტა დავლიე, — შვილი დედას ცრემლიან ლოყაზე ჰკოცნის...

აქ კი უმტყუნა ქალს უზომოდ დაჭიმულმა ნერვებმა და შვილს უყვირა, უმადური, შეუბრალებელი უწოდა...

ვაჟი სიფხიზლეში ძალიან კარგია, ყურადღებიანი, ზრდილობიანი, თავდაჭერილი; სამსახურშიც და ამხანაგებშიც კარგი სახელი აქვს, ნიჭიერიც არის, დაუსწრებლად სწავლობს ინსტიტუტში და მუშაობს კიდეც. მართალია, ხშირად არა სვამს, მაგრამ, თუ დალევს, გონებას კარგავს და ჭირვეული ხდება, მეტისმეტად ჭირვეული.

ვერც ახლა აიტანა დედის გულისწყრომა, მისი საყვედურები, მანქანისაკენ გაიქცა. დედა უცებ გამოფხიზლდა, გონს მოვიდა, ეხვეწება, ემუდარება, მაგრამ ვაჟს არაფერი ესმის, დედას ხელს ჰკრავს, მანქანაში ჩაჯდა. მთელი სისწრაფით მიჰქრის. მერე ხმა შეწყდა.

გაოგნებული დედა სილუეტივით დგას ჭიშკართან. როგორც იქნა, ღამის სუსხმა გამოაფხიზლა, ფეხაკრეფით აათავა კიბე, ოთახში შევიდა და ტახტზე ჩამოჯდა. არ უტირია. თითქოს გრძნობაც წაერთვა და აზროვნებაც. არაფერი ახსოვდა შვილის გარდა. ხომ შეიძლება რაიმე მოხდეს, მერე მისი სიცოცხლე დამთავრდება. ამიტომ არ უნდა ჰყავდეს დედას ერთი შვილი, არ უნდა ეკიდოს მხოლოდ ერთ ძაფზე. რატომ, რატომ არ უნდა ჰყოლოდა შვილები, მაშინ შვილიც უფრო სხვანაირი გაეზრდებოდა, უფრო სხვაგვარად იმსჯელებდა. ახლა ერთია და აღარ იცის როგორ მოიქცეს, სად წავიდეს... აი, დედის შეცდომა — თვითონაც და შვილიც ზედმეტი ნერვიულობით იტანჯებიან.

ახალგაზრდა დედები, ალბათ, გულდასმით წაიკითხავენ ამ წერილს და სერიოზულად დაფიქრდებიან ოჯახის მეტად მნიშვნელოვან საკითხზე.

ნ. ასათიანი.

ყდის პირველ გვერდზე — მირზა გელოვანი — მოქანდაკე გ. ოჩიაური; მეოთხე გვერდზე — რთველი. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.


სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 1/IX-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/X-78 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126.000. შეკვ. 2143 უე. 00942 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზამთრის თადარიგი

# კულინარია

## კომბოსტოს მწნილი

დასამწნილებლად გამოდგება ყოველგვარი კარგად შემოსული თავთეთრი კომბოსტო. რაც უფრო მაგარი და თეთრია კომბოსტო, მით უფრო კარგი გამოდის მწნილი.

დასამწნილებელ კომბოსტოს მოაშორეთ დამჭკნარი, ძველი, დაზიანებული და მწვანე ფოთლები. მურკი მოაჭერით თავის დასაწყისთან.

გასუფთავებული, გარეცხილი კომბოსტო (1 კილოგრამი) ჩაჭერით ჯვარედინად ორ ან ოთხ ნაწილად და მოაშორეთ მურკი. ამგვარად გამზადებული კომბოსტო მოათავსეთ მდუღარე წყლიან ქვაბში, გააჩერეთ 3-5 წუთს, რომ გათუთქოს. შემდეგ ქაფქირით ამოალაგეთ და 30 წუთით მოათავსეთ ცივწყლიან ჭურჭელში, მხოლოდ წყალი 2-3-ჯერ გამოუცვალეთ. ამის შემდეგ კომბოსტო გადაიტანეთ ცხრილზე, რომ დაიწრიტოს და შეგრილდეს.

სუფთა ქვაბში ჩაასხით წყალი (2 ჩაის ჭიქა), ადუღეთ, ჩაყარეთ ერთი სუფრის კოვზი მარილი, მოათავსეთ შიგ ძირიანი ნიახური (200 გრამი), ნიორი (50 გრამი), ადუღეთ 2-3 წუთს, შემდეგ ამოიღეთ მარილწყლიდან და შეაგრილეთ. კარგად გარეცხილი ქილა შეამშრალეთ. გათუთქული, გაცივებული კომბოსტოს ნახევარი ქილაში მოათავსეთ, ზედ დაადეთ შეგრილებული, გათუთქული ნიახური ძირიანად, ნიორი, წიწაკა (შეიძლება დაფნის ფოთლის ჩამატებაც). დარჩენილი კომბოსტოს მეორე ნახევარი ზედ მოათავსეთ, დაასხით გაცივებული ნახარში (2 ჩაის ჭიქა), ამდენივე ცივი წყალი, ზემოდან დაადეთ გამხმარი მწვანილი (150-200 გრამი)— რეჰანი, ქონდარი, ტარხუნა, პიტნა და აყვავებული კამა, მოაყარეთ მარილი (1 1/2 სუფრის კოვზი), დაადეთ ზედ სუფთა ბრტყელი ქვა, რომ კომბოსტო ზევით არ ამოტივტივდეს, დააფარეთ სუფთა ტილო, მოუკარით თავი და გრილად შეინახეთ.

ყურადღება მიაქციეთ, რომ წვენი კომბოსტოს ყოველთვის ფარავდეს. ზედაპირზე წარმოქმნილი ობი მოაშორეთ. ამავე დროს ჭურჭელში მოთავსებული ქვა კარგად გარეცხეთ და დამდუღრეთ. თუ მწნილს წვენი აკლია, დაუმატეთ ცივი მარილწყალი.

თუ გსურთ, რომ მწნილს ჰქონდეს წითელი ფერი, მაშინ დაუმატეთ ოთხად გაჭრილი, გასუფთავებული, გარეცხილი და ძალიან წითელი უმი ჭარხალი (400 გრამი).

საზამთროდ შესანახი კომბოსტოს მწნილის მომზადება სასურველია ნოემბერში.

## დაკეპილი კომბოსტოს მწნილი

გასუფთავებული, გარეცხილი კომბოსტო (1 კილოგრამი) გაჭერით ორად ან ოთხად, შემდეგ წვრილად დაკეპეთ. დაკეპილ კომბოსტოს შეურიეთ 1-1,5 სუფრის კოვზი მარილი და გააჩერეთ 10-15 წუთს. კომბოსტო ხელით დასრისეთ, რომ დარბილდეს. შემდეგ სუფთა, მშრალ ქილაში ფენებად მოათავსეთ. თითოეულ ფენას ჩააყოლეთ მრგვალ თხელ ნაჭრებად დაჭრილი სტაფილო (300-400 გრამი), დაჭრილი წიწაკა (გემოვნების მიხედვით). თუ გსურთ, დაუმატეთ დაფნის ფოთოლიც (გემოვნების მიხედვით). ქილაში მოთავსების დროს კარგად დატკეპნეთ, რომ წვენი გამოუვიდეს. ზემოდან დააფარეთ გარეცხილი, დამდუღრული ხის რგოლი და ქვით. 3-4 დღის შემდეგ გაჩნდება ბუშტები, შემდეგ წარმოიქმნება ქაფი, რომელიც თანდათან გაქრება. დამწნილების პერიოდში რამდენჯერმე უნდა მოურიოთ სუფთა ჯოხით, რათა წარმოქმნილი გაზი გამოვიდეს. წვენი კომბოსტოს მუდამ უნდა ფარავდეს. თუ დამწნილების დროს ცოტა წვენი გამოიყო, მაშინ დაუმატეთ მარილწყალი (1 ჩაის ჭიქა წყალზე 1 ჩაის კოვზი მარილი). წათხის ზედაპირზე წარმოქმნილი ობი მოაშორეთ, ხის რგოლი და ქვა კი გარეცხეთ და დამდუღრეთ.



## მწვანე პამიდვრის მწნილი

### პირველი ვარიანტი

წვრილად დაჭერით 200 გრამი მწვანილი (ნიახური, ოხრახუში, რეჰანი, ქონდარი და კამა), 50 გრამი ნიორი, წიწაკა (რამდენიც გსურთ). დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი მარილი და ერთმანეთში აურიეთ. ერთი კილოგრამი გადარჩეული, გარეცხილი სალი მწვანე პამიდორი სათითაოდ გაჭერით სიგანეზე ისე, რომ ერთმანეთს არ მოაშოროთ. შიგ მოათავსეთ გამზადებული მასალა, შემდეგ მჭიდროდ ჩააწყვეთ ქილაში. როცა ქილა აივსება, ზემოდან მოათავსეთ 50 გრამი აყვავებული კამა (გამხმარი), დაადეთ ხის მრგვალი ნაჭერი, სუფთა ბრტყელი ქვა და მჭიდროდ მოუკარით თავი.

### მეორე ვარიანტი

გადარჩეული, გარეცხილი, საშუალო ზომის ერთი კილოგრამი მწვანე პამიდორი გარეცხეთ ცივი წყლით და ცხრილზე გადაიტანეთ.

სამი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში მოათავსეთ 200 გრამი ნიახური და 150 გრამი ოხრახუში, გათუთქვისთანავე ამოიღეთ, გადაიტანეთ ცხრილზე და გააცივეთ. იმავე მდუღარე წყალში ჩაყარეთ ერთი სუფრის კოვზი მარილი, ადუღეთ და გააცივეთ.

გამზადებული მწვანე პამიდორი მჭიდროდ ჩააწყვეთ ქილაში, თან ჩაატანეთ გათუთქული შეგრილებული ნიახური და ოხრახუში, აგრეთვე 50 გრამი კამა, 50 გრამი დაჩეჩქვილი ნიორი, ერთი ცალი დაფნის ფოთოლი და წიწაკა (გემოვნებით). მჭიდროდ გავსებულ ქილას დაასხით გაცივებული მარილწყალი (იმდენი, რომ კარგად დაფაროს), დაადეთ ზედ 100 გრამი გამხმარი კამა, ხის რგოლი, ზედ ბრტყელი ქვა და ქილას მაგრად მოუკარით თავი.



## მწვანე წიწაკის მწნილი

1 კილოგრამი მწვანე წიწაკა გარეცხეთ, თითოეული ჩაჭერით ერთი მხრიდან, თესლი გამოაცალეთ, ჩაყარეთ შესაფერ ჭურჭელში, დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ შიგ 5 წუთს. შემდეგ გადაიტანეთ ცივ წყალში, გარეცხეთ და ისევ მდუღარე წყალში ჩაყარეთ, 5 წუთს გააჩერეთ, შემდეგ ცივ წყალში მოათავსეთ და შეგრილდება თუ არა, თუშფალანგზე გადაიტანეთ, რომ წყლიდან დაიწრიტოს.

ადუღეთ წყალი, ჩაყარეთ მარილი (იმდენი, რომ ხსნარი საკმაოდ მლაშე იყოს) მოათავსეთ შიგ 200 გრამი ნიახური, ერთი თავი ნიორი, 150 გრამი კამა, 1 ცალი დაფნის ფოთოლი და წამოადუღეთ. გათუთქული ნიახური, ნიორი და დაფნის ფოთოლი თუშფალანგზე გადაიტანეთ და გააცივეთ. კამა გადააგდეთ.

ქილაში ჩააწყვეთ წიწაკა, დაასხით გაცივებული ხსნარი (იმდენი, რომ შიგთავსი კარგად დაფაროს), ზემოდან დაადეთ გათუთქული, გაცივებული ნიახური, ნიორი, დაფნის ფოთოლი, სუფთა ბრტყელი ქვა და მჭიდროდ მოუკარით თავი. როცა წიწაკა დამწნილდება, მისი ქილიდან ამოღებისას ქილას ყოველთვის სწრაფად უნდა მოუკრათ თავი, რომ შიგ ჰაერი არ შევიდეს.

თამარ სულაქველიძე



ИНДЕКС 76178